წელიწადი მესამე | ფასი 5 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 6 თებერვალი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 27. ტელ. № 11—68.
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 3

## ჟურნალის შინაარსი:

ქართულ ემიგრაციის საქმიანობა. ინდუსტრიალიზაციის საკითხი—**ალფეზი ხელაძე**. გვაკმარეთ—**ლ. კუპრაშვილი**. ეროვნული ამოცანა—**ლეო შენგელაია**. რა ვქნათ?—**დ. თოფურიძე**. ფაშისტური შემოტევა და ჩვენი მიზანი—**კ. მაჭარაძე**. ბრძოლის მორიგი საკითხი—**ზ. ჩახვაძე**. საუბარი—**ივ. გომართელი**. საბჭოთა ხელისუფლება და ქალთა საკითხი—**ალექსანდრა ლლონტი**. ნიღაბი აიხადეს—**ა. ჩაჩუა**. ქართველი ერის ტრაღედიის ავტორები—**ვ. ნინიძე**. რისთვის გავხდი ახალგზელი—**ონოფრე ლომთათიძე**. რკინისგზელები და მუშანგველები—**თბილისელი მემანქანე**. პროვინცია.

# ქართულ ემიგრაციის „საქმიანობა“

## I

### ფრანგული ჟუნალი „პრომეთე“ და მისი კალმოსნები

ჩვენ ხელთა გვაქვს ყოველთვიური ფრანგული ჟურნალი **„პრომეთე“**-ს პირველი ნომერი, რომელიც დათარიღებულია 1926 წლის 15 ნოემბრით.

დღემდე ნ. ჟორდანიას „მთავრობასა“ და მის ირგვლივ თავმოყრილ „საქართველოს განმათავისუფლებლებს“ რამდენიმე ყოველთვიური ორგანო მოეპოებოდათ საზღვარგარეთ ქართულ ენაზე: „ბრძოლა“, „თავისუფალი საქართველო“ და სხვა. **„პრომეთე“**-ში კი თავი მოუყრიათ როგორც საქართველოს, ისე აღერბეიჯანის, მთიულთა და უკრაინის რესპუბლიკების ყოფილ „დემოკრატიულ მთავრობათა“ წარმომადგენლებს. ამ რიგად „პრომეთე“ წარმოადგენს ერთგვარ სინტეზს ყველა დასახელებულ ყოფილების პოლიტიკური აზროვნებისა და მათი პრაქტიკულ „მოღვაწეობისას“.

ამ ჟურნალში ჩვენ ვხედავთ ჩვენს კარგად ცნობილ პირებს: ნოე რამიშვილს, გიორგი გვაზავას, გ. ბამატს, ხოსროვ-სულთან-ზადეს, რასულ ზადეს, ნ. შუმიცკის და ყველა ამათ მხარს უმშვენებს ფრანგი ჟურნალისტი ჟან მარტენი*)—ეს ნამდვილი ტიპი რუსეთის ლიტერატურაში ცნობილი საქორწილო გენერლისა (свадебный генерал).

აი ეს ხალხი გამოდის ფრანგული ჟურნალის ფურცლებზე და კავკასიისა და უკრაინის სახელით უმტკიცებს ევროპის იმპერიალისტებს კომუნიზმის დამარცხების აუცილებლობას. როგორც ჟურნალის ორი მოწინავე წერილი, ისე ყველა დასახელებული ავტორები ერთხმად ურჩევენ ევროპის დიდ სახელმწიფოებს: გაათავისუფლეთ კავკასია და უკრაინა წითელი მოსკოვის ბატონობისაგან და მით იხსენით როგორც ამ რესპუბლიკებში მობინადრე ერები, ისე მთელი ევროპა და მთელი მსოფლიო კომუნიზმის საშინელი საფრთხისაგანო.

მოწინავე წერილი ერთობ ნაკლებ დიპლომატიურად, მაგრამ სამაგიეროდ შჩედრინის ცნობილი იუდუშკა გოლოვლიოვის კილოთია დაწერილი. ჟურნალი, როგორც ვთქვით, მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს მოუწოდებს კომუნისტების დასამხობად და იმავე დროს ცდილობს ყველა დაარწმუნოს, რომ ეს თვითონ რუსეთისთვისაც დიდათ სასარგებლო იქნებაო. ჩამოაცალეთ საბჭოთა კავშირს უკრაინა და კავკასია, შეაჩერეთ მისი ბუნებრივი ლტოლვა მცირე აზიისაკენ და „იგი (ესე-იგი რუსეთი) თვითონ მოიგებს საქმის ასე მოწყობით, ვინაიდან ის განთავისუფლდება ბატონობის სენისაგან, რაც მას ასე ახასიათებს; მაშინ იგი დაიმსახურებს ყველა მეზობელ სახელმწიფოების პატივისცემას. მიიღებს საპატიო ადგილს ერთა ლიგაში და გახდება მონაწილე კაცობრიობის პროგრესის საქმეში“.

სიტყვა-სიტყვით ასე სწერენ **„პრომეთე“**-ს ჭკუიანი პუბლიცისტები. თუ მათ პოლიტიკური გამჭრიახობა აკლიათ, სამაგიეროთ იუდუშკა გოლოვლიოვს სულაც არ ჩამოუვარდებიან ნიჭით. ისინი დანგრევით ემუქრებიან საბჭოთა კავშირს და იმავე დროს თავი ისე უჭირავთ, თითქოს იმავე კავშირის ინტერესებიდან გამოდიოდენ... თუ მოსკოვი ჭკუით იქნება, თუ ის **„პრომეთე“**-ს პუბლიცისტებს დაუჯერებს და გაშავდება, ესე-იგი თვითმკვლელობას ჩაიდენს, მას ისეთ დიდ ჯილდოს პირდებიან, როგორც არის „ერთა ლიგაში საპატიო ადგილ“ მიღება; ეს კი ხუმრობა საქმე როდია: ერთა ლიგა უბრალო რამე კი არ ყოფილა, ის, „პრომეთე“-ს რეკომენდაციით „სიმართლისა და სამართლიანობის იდეის მატარებელია“ მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება „ბატონობისა და

---

*) **„პრომეთე“**-ში მოთავსებული წერილი ჟ. მარტენისა: „ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც“ თითქმის ერთი წლით ადრე დაბეჭდილი იყო **„დემოკრატიულ საქართველოში“** (იხ. „დ. საქართველოს“, № 3, 1926 წელი). ეტყობა ფრანგულ ჟურნალს მასალები შემოლევია, რომ ამ ძველ წერილს ახლად ასაღებს.

მონობის იდეის განხორციელება ყოფილა... სანამ წითელ მოსკოვს „პრომეთე“-ს პუბლიცისტების რჩევა არ დაუჯერებია, მისი თანდაყოლილი „ბატონობის სენი რეალურ საშიშროებას წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოებისთვის და ამ უკანასკნელებს არა აქვთ უფლება გულდამშვიდებით უცქირონ მომავალს ვითომდა იმ იმედით, რომ კომუნისტები თვითონ დასუსტდებიან და დღეს კრიტიკულ მდგომარეობაში არიანო“.

ვინც ასე ფიქრობს, იმას ჟურნალი მოაგონებს საბჭოთა კავშირის უაღრესად რევოლიუციონურ როლს ჩინეთსა და ინდოეთში და ურჩევს ბოლო მოუღონ ამ საშინელებას.

საბჭოთა კავშირის „იმპერიალისტური ზრახვების“ ასალაგმავად და მით ევროპაში მშვიდობიანობის აღსადგენათ ჟურნალს აუცილებლად მიაჩნია კავკასიისა და უკრაინის „თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკების აღდგენა“. ამით „პატარა და შუა აზია სულ ერთიანად განთავისუფლდებიან საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმისგან და ევროპა თავიდან აიცილებს ომის საშიშროებასო“.

ერთი სიტყვით, **„პრომეთე“** ევროპის დიდ სახელმწიფოებს ასწავლის: თუ მოსკოვს თავის საკუთარ ფარგლებში ჩააყენებთ, თუ მას კავკასიონის ქედს აქეთ არ გადმოახედებთ, თუ კავკასიასა და უკრაინას საბჭოთა კავშირს ჩამოაშორებთ, მცირე აზიაში თქვენი ბატონობა უზრუნველყოფილი იქნებაო.

ასეთია **„პრომეთე“**-ს პოლიტიკური საფუძველი. ამას ერთვის ეკონომიური და ფილოსოფიური საფუძველიც.

„მდიდარი კავკასია და უკრაინა ომიანობით გაღარიბებულ ევროპას მისცემს უამრავ სიმდიდრეს. ეს კი ძ..ვითი ფაქტორია, რომელიც ამ რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან განთავისუფლების საქმეს აძლევს მხოთლიო მნიშვნელობასო“.

ასეთია ეკონომიური საფუძველი.

კავკასიისა და უკრაინის რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან განთავისუფლების და „ევროპის სახელმწიფოების ოჯახში“ მათი შეყვანის შესახებ **„პრომეთე“**-ს ფილოსოფია იგივე ნოე ჟორდანიას ჩვენი კარგად ნაცნობი ფილოსოფია. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ **„ბრძოლის საკითხებში“** ნ. ჟორდანია ამტკიცებდა: საქართველოსა და ევროპის კულტურული განვითარების აკვანი ერთი და იგივე იყო, როგორც ევროპაში, ისე საქართველოში ფეოდალიზმი არსებობდა, მაშასადამე საქართველო ევროპის სახელმწიფოებთან უნდა იყოს. რუსეთი კი აზიის კულტურაზე აღიზარდა, იქ ფეოდალიზმი არ არსებობდა, იქ, როგორც აზიაში, მიწის სათემო მფლობელობა არსებობდა. ამიტომ რუსეთი აზიასთან უნდა დარჩესო.

სწორეთ ასევე ასაბუთებს თავის აზრს **„პრომეთე“**-ც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის ლაპარაკობს არა მარტო საქართველოზე, არამედ კავკასიასა და უკრაინაზე:

„კავკასია და უკრაინა ერთმანეთზე გადაბმული არიან შავი ზღვის აუზით და აქედან კი ხმელთაშუა ზღვის **ცივილიზაციასთან.** თავისი ინტელექტუალური, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით უფრო მჭიდროთ არიან მიკრული ევროპასთან, ვიდრე რუსეთთან“.

„უკრაინა და კავკასია „უცვლელი ევოლიუციის მიერ მოწოდებული არიან მიუმატონ ახალ ევროპას ორი ახალი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

რატომ? რა საბუთით? რატომ ევროპას უნდა მიემატონ ეს რესპუბლიკები და საბჭოთა დიდ კავშირში არ დარჩენ?

ამის საპასუხოთ ჟურნალი იმავე ნოე ჟორდანიას ფილოსოფიას იშველიებს:

„რუსეთის იმპერია აღმოსავლეთური ქმნილება იყო ისე, როგორც ახამედინების, პართების, ბიზანტიელებისა და მონღოლების მიერ შექმნილი იმპერიები, რომლებსაც ის **თვისება** ახასიათებდა, რომ თავის დესპოტიის ქვეშ თავს უყრიდენ სხვადა სხვა ერებს, რომლებსაც ურთი-ერთ შორის არავითარი კავშირი არ მოეპოებოდათ.

მერე ამ **თვისებით** ინგლისს აბა რომელი ზემოთ დასახელებული იმპერია შეედრებოდა? შედარებით სულ პატარა ბრიტანეთს ნახევარ მილლიარდზედ მეტი ხალხისთვის მოუყრია თავი თავისი დესპოტიის ქვეშ დომინიონებისა და კოლონიების სახით. თუ ეს **თვისება** მოსკოვისთვის ისეთი რამ არის, რომ მას უკრაინა და კავკასია უნდა გამოვაცალოთ, ინგლისი რათ უნდა შეადგენდეს გამონაკლს ამ შემთხვევაში, რატომ უნდა იბრუნოს პირი ასეთი ინგლისისაკენ უკრაინამ და კავკასიამ?

**„პრომეთე“**-ს პუბლიცისტები ამ კითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევიან:

„საბჭოთა კავშირს არაფერი არა აქვს საერთო ბრიტანეთის იმპერიის ფედერაციასთან, სადაც ყოველი დომინიონი სარგებლობს თითქმის სრული დამოუკიდებლობითო“.

ასეთ პასუხს იძლევიან „პრომეთე“-ს პუბლიცისტები და არც კი წითლდებიან. დღეს ვინ არ იცის, რომ ინგლისმა ნამდვილი მონობის უღელი დაადგა თავის დომინიონებს მარტო ინდოეთის 300 მილიონი ხალხის მდგომარეობის მოგონება რადა ღირს?.. დღეს ვისთვის არის ახალი ამბავი, რომ ინდოეთში ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მოსულ ინგლისელებს შორის ისეთივე დამოკიდებულება არსებობს, როგორიც არსებობდა ამერიკაში შავკანიან მონებსა და მათი სულის ჯალათების ამერიკელი,—ესე-იგი იგივე ინგლისელი,—ფერმერებს შორის.

დღეს არც ერთი ინგლისელი ინდოელს გვერდში არ მოისვამს, სახლში არ მიიღებს, ხელს არ ჩამოართმევს, თუნდაც ეს ინდოელი უმაღლესი განათლებითაც იყოს აღჭურვილი, თუნდაც იგი ბრიტანეთის მხედრობის ოფიცერიც იყოს და ინგლისელებთან ერთად სისხლს ღვრიდეს ბრძოლის ველზე ინგლისის იმპერიალისტების ინტერესების დასაცველად. ამის უამბრავი მაგალითები ჩვენ ჩვენის საკუთარის თვალებით ვნახეთ აქ, თბილისში, როცა 1918 წელს ინგლისის მხედრობამ „გააბედნიერა“ ჩვენი ქვეყანა თავისი მობრძანებით...

მაგრამ ეს კიდევ რაა? ასევე ეპყრობიან ინგლისელები თვით ინდოეთის მეფეებსაც, როცა ინდოეთის ვიცე-კოროლი, ესე იგი ინგლისის წარმომადგენელი ჩინოვნიკი ინდოეთის მეფეს ესტუმრება, უკანასკნელი, ჩვეულებრივად, დიდის პატივისცემით იღებს მას, უმართავს დიდებულ ნადიმს და სხვა. მაგრამ მას, მეფეს, უფლება არა აქვს თავის სტუმრებს გვერდში მოუჯდეს, მათთან ერთად იმხიარულოს. ის ცალკე, ინგლისელებიდან მოშორებული, უნდა იჯდეს და მას მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ინგლისელების სუფრას მიუახლოვდეს, როცა იწყება ტოსტები ბრიტანეთის კოროლისა, მისი მხედრობისა და მთავრობის სადღეგრძელოთ (იხ. Ж. Шейэ. „Современная Индия“. ნაწილი 1, გვ. 178).

თუ ასე ეპყრობიან მეფეს, როგორ მიეპყრობიან ინგლისელები უბრალო მომაკვდავებს? და მართლაც ინგლისმა მონობის უღელი დაადგა ინდოეთის ხალხს. ჩვენებური ბატონ-ყმობა იქ იდეალური დამოკიდებულება იქნებოდა. ჩვენმა ისტორიამ ერთობ ბევრი იცის იმისი მაგალითები, რომ ბატონიშვილს უბრალო გლეხის ქალი შეერთოს და იგი თავის სწორ-ამხანაგათ ეცნოს. ინდოეთში ეს წარმოუდგენელია. ზემოთ დასახელებული მეცნიერი ჟ. შეიე მხოლოდ 3—4 მაგალითს ასახელებს იმისას, რომ ინგლისელს,—ისიც უბრალო ჯარისკაცს,—ინდოელი ქალი ცოლად შეერთოს. მაგრამ ვაი იმისთანა შერთვას! ასეთი ქორწინების ნაყოფი შვილი აღიარებულია **მეტისათ** (ევრო-აზიელათ), ინგლისის საზოგადოება მას არ მიიღებს, ის ყოველგვარ უფლებას მოკლებულია ამ საზოგადოებაში... 1857 წელს ინდოეთში ინგლისელების წინააღმდეგ დიდი აჯანყების დროს, ერთმა ინდოელმა ახალგაზრდა ქალმა, უდიდესი თავგანწირვის ფასით, სიკვდილს გადაარჩინა ახალგაზრდა ინგლისელი ჯარისკაცი. შემდეგ ამ ჯარისკაცმა ეს თავისი მცველი ანგელოზი ცოლათ შეირთო. მერე იცით რით გადაუხადეს ამ ქალს მისი ასეთი

თავგანწირვა? ის არ მიიღო ინგლისის საზოგადოებამ, მისი შვილიც **მეტისათ** დარჩა...

ასეთი დამოკიდებულება არსებობს ინგლისსა და ინდოეთს შორის.

ამის შემდეგ „**პრომეთე**“-ს პატიოსანი კალმოსნები გამოსულან და ქვეყანას არწმუნებენ: ბრიტანეთის იმპერიაში ყოველი დომინიონი სრული დამოუკიდებულებით სარგებლობსო.

კავკასიასა და უკრაინს „განმათავისუფლებლები“ ქვეყანას უმალავენ იმ ყველასთვის აშკარა ჭეშმარიტებას, რომ თუ დღეს ინგლისის დომინიონებმა და მათ შორის ინდოეთმა, რაიმე დამოუკიდებლობის ნასახი მოიპოვეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის დიდი რევოლიუციისა და მისი პირმშო შვილის საბჭოთა დიდი კავშირის წყალობით მოიპოვეს და არა ბრიტანეთის იმპერიალისტების გულკეთილობითა და „სიმართლის მოყვარეობით“. კიდევ თუ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ინგლისის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ჩაჩოქება შეაძლეს, ბრიტანეთის დომინიონების მიერ მოპოებული „დამოუკიდებლობა“ მხოლო წყალზე ფიწლით დაწერილი თამასუქი იქნება და მეტი არაფერი..

სწორეთ საკვირველი ხალხი ბრძანდება ეს „განმათავისუფლებლები“. იმათ, როცა მოესურვებათ, ძალიანა სწამთ იურიდიული აქტები. მათ პირდაპირ თავი მოაბეზრეს ქვეყანას: პანამამ, ჰაიტმა, მექსიკამ, ლიბერიამ, ლიუკსემბურგმა და სხვებმა,—რომლების არსებობა ქართველმა ხალხმა არც კი იცის,—საქართველო დე-იურეთ იცნესო... და იმავე დროს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, სადაც დაკანონებულია ქართველი ხალხის სუვერენული უფლებები, არც კი იხსენიებენ...

როგორც ზემოთ დავინახეთ, ინდოეთი ინგლისის მონების ქვეყანაა. საქართველო კი საბჭოთა დიდი კავშირის სრულუფლებიანი წევრია. ინგლისელი ახლაც არ იკარებს ინდოელს, როგორც **მდაბალი რასის წარმომადგენელს.** ქართველსა და რუსს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ქართველები ყოველთვის თამაშობდენ თვალსაჩინო როლს თავის საერთო სამშობლო რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და არავის, არც ერთ შეგნებულსა და სოციალისტურად მოაზროვნე რუსს, აზრადაც არ მოსვლია ეკითხა: რატომ ამა თუ იმ საპასუხისმგებლო ადგილზე ქართველია და არა რუსიო... და თურმე ასეთი რუსეთი და ასეთი რუსები საქართველოში ბატონები ყოფილან და საქართველო და ქართველები—მათი მონები და იმავე დროს ინგლისის დომინიონები კი სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ყოფილან...

როცა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებზე ვლაპარაკობთ და ისეთ ყველასთვის აშკარა ფაქტებს აღვნიშნავთ, როგორც არის ელექტროფიკაცია, ტრაქტორიზაცია და სხვა ასეთები, ნ. ჟორდანია მოსყიდული კალმოსნებს, ქვეყნის გამყიდველებს გვეძახის. რატომ? ზაჰესი ხომ ფაქტია? ვოლხოვსტროი ხომ ანათებს და ამოძრავებს ვეებერთელა ლენინგრადს? ტრაქტორებს ხომ ჩვენის საკუთარის თვალებით ვხედავთ? სალეწი მანქანებით ხომ თვითონ ქართველი გლეხები ლეწენ პურს? თუ ყველა ასეთ აშკარა ფაქტებზე წერა ქვეყნის გაყიდვაა, თუ სინამდვილის აღმნუსხველი მწერალ მსყიდული კალმოსანია, რა ვუწოდოთ „**პრომეთე**“-ს კალმოსნებს, რომლებიც ასეთ საარაკო, ასეთ წარმოუდგენელი ტყუილებით ჰბედავენ ქვეყნის წინაშე გამოსვლას?

დეე თვით მკითხველმა დაარქვას ღირსეული სახელი „**პრომეთე**“-ს კალმოსნებს.

# ინდუსტრიალიზაციის საკითხი

**(პასუხი ნ. ნ. ჟორდანიას)**

„ბრძოლის“ მე-17 № ნ. ჟორდანია თავისებურ კრიტიკულ ანალიზს უკეთებს ინდუსტრიალიზაციის საკითხს საბჭოთა კავშირში. მას არ სჯერა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა, მიმართული ამ მხრივ, რაიმე ნაყოფა გამოიღებს. ის დიდ ენერგიას ხარჯავს „ციფრებით დაამტკიცოს“, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში სამეურნეო სამრეწველო ძალები განადგურებულია, რომ მატერიალური ბაზა და დოვლათი საბჭოთა კავშირში თითქმის სავსებით გამქრალია.ამასთანავე ის იხსენიებს პოზიცია-ოპოზიციის კამათს და დაასკვნის:

„პოზიცია და ოპოზიცია მორიგდენ პარტიულ დისციპლინის ნიადაგზე, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა მაინც დარჩა მათ შორის. მათი სადაო საკითხი უმთავრესად შეეხება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხს“.

მაშ აგრე, საბჭოთა რესპუბლიკებში ეკონომიური საშუალებანი, დასაყრდნობი ბაზა ინდუსტრიალიზაციის განვითარებისა, ნ. ჟორდანიას სიტყვით განადგურებულია. და რასაკვირველია, ეკონომიურათ განადგურებულ ქვეყანაში, როგორ შეიძლება სერიოზული მსჯელობა, საწარმოო ძალთა განვითარებაზე და სოციალისტურ მშენებლობაზე? მაგრამ ნ. ჟორდანია აქ განზრახ მალავს სინამდვილეს. რაკი მას არ უყვარს საბჭოთა წყობილება, რაკი ის მტრულად არის განწყობილი იმ პარტიასთან, რომელმაც ეს წყობილება შექმნა, ისიც ცდილობს მთელი თავისი ძალღონით, ჩაქოლოს ეს წყობილება და სახელი გაუტეხოს მას მშრომელთა მასების თვალში.

მაგრამ ნ. ჟორდანია აქ აღარ არის ის საღათ მოაზროვნე პუბლიცისტი, როგორიც იყო გასულ პერიოდში, როდესაც ის სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის და რევოლიუციის სახელით ებრძოდა ჩვენ ძველ თაობას—რეაქციონურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ინტელიგანციას.

რაში გვედავება ნ. ჟ.? რას გვიწუნებს ის? მართლა კომუნისტურმა პარტიამ გაანადგურა ეკონომიურად ყოფილი რუსეთის იმპერია? მართლა გაანიავა ის მარაგი ეკონომიური დოვლათისა, რაც შთამომავლობით გადმოგვეცა ჩვენ? აი საკითხები, რომელზედაც ორიოდე წუთით შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

მსოფლიო ომმა მთელი კაცობრიობა გაანადგურა მატერიალურად და ფიზიკურად. განადგურდა ყველა ის სახელმწიფონი, რომლებიც მსოფლიო ომში იყო ჩათრეული. ამ მსოფლიო ომიდან გამარჯვებული და ეკონომიურად გამაგრებული, მხოლოდ შეერთებული შტატები გამოვიდა. თითქმის მთელი ოქროს მარაგის ორი მესამედი ევროპიდან ამერიკაში ჩაცურდა. და თუ ომამდე ფინანსიურად ძლიერი სახელმწიფონი იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, ომის შემდეგ ეს სახელმწიფონი ძალზე გალატაკებულნი თვით იქცნენ ამერიკის ფინანსების შემყურეთ და მისგან სავსებით დამოკიდებულნი. მდგომარეობა, რომელიც ევროპაში შეიქნა უკანასკნელ ხანებში, ეს სავსებით ამერიკის ფინანსიურ დახმარებას მიეწერა. ამიტომაც არის. რომ დღეს ამერიკა ევროპაზე ეკონომიურად და ფინანსიურად ბატონობს. გაიხსენეთ ინგლისური სტერლინგის გამაგრება ამერიკის დოლარის შემწეობით. იტალიის ლირის გამოცოცხლება ამავე ამერიკის სესხით, და თვით განადგურებული გერმანიის მარკის კურსის გამაგრება დაუესის გეგმის მიხედვით. და რადგან საფრანგეთმა თავის დროზე ვერ მოაგვარა ვალების საკითხი და ფინანსიური დამოკიდებულება შეერთებულ შტატებთან, მიუხედავათ საფრანგეთის მრეწველობის აღორძინებისა, ფრანგული ფრანკი ქრონიკული ავადმყოფობით შეპყრობილი, თანდათანობით ეცემოდა და მხოლოდ პუანკარეს კაბინეტმა ამერიკელი ფინანსისტების „დაიმედებით“ თითქოს მოასულიერა ფრანკის კურსი.

თუ რამდენად გამაგრებულია ამერიკა ფინანსიურად სხვათა შორის მოწმობს შემდეგი ფაქტი: ამ ცხრა მილიარდი მთელი ოქროს მარაგისა, რომელიც კაცობრიობას

გააჩნია, ამერიკამ უკვე ჩაიჯიბა 5 მილიარდი. ევროპას მართებს ამერიკის 26 მილიარდი მანეთი. მაგრამ დავანებოთ თავი ამერიკას და მის ფინანსიურ სიძლიერეს და დაუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის პირდაპირ საგანს.

ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ მსოფლიო ომმა გაანადგურა მეომარი სახელმწიფონი და მათ შორის რუსეთის ყოფილი იმპერიაც. მაგრამ რუსეთის იმპერიაში მოხდა რევოლიუცია ჯერ პოლიტიკური და შემდეგ სოციალისტური. ამ რევოლიუციას შეებრძოლა გაბატონებული კლასები და მათი დამცველნი თეთრგვარდიელები, და ამ სამოქალაქო ბრძოლის პროცესში კიდევ უფრო განადგურდა ეკონომიური დოვლათი და საწარმოო საშუალებანი.

განა მარტო ყოფილი რუსეთის იმპერია გამოვიდა ეკონომიურად დაზიანებული? რასაკვირველია არა? ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს შემდეგი ციფრები: მაგალითად პურის მოყვანა ინგლისში უდრის 80 პროცენტს ომამდე არსებულ ნორმისას; საფრანგეთში კი 83 პროცენტს; გერმანიაში 68 პროცენტს. 1926 წელს ნახშირის ამოღება ინგლისში უდრიდა 90 პროცენტს; გერმანიაში 90 პროცენტს. ფოლადის დამუშავება ინგლისში უდრის 98 პროცენტს; საფრანგეთში 102 პროცენტს; გერმანიაში 78 პროცენტს. ბამბის მოხმარა ინგლისში უდრის 82 პროცენტს; საფრანგეთში 83 პროცენტს; გერმანიაში 81 პროცენტს. საგარეო ვაჭრობას ინგლისში აქვს პასიური ბალანსი. უდრის 94 პროცენტს. (საერთოდ ევროპის სახელმწიფოებში 1925 წელს და შემდეგ უდრიდა 82 პროცენტს ომის წინანდელ არსებულ ნორმასთან შედარებით.

გადასახადების ტვირთი (ნალოგოვოე ბრემია) მაგალითად ასეთ სურათს გვაძლევს: 1913 წელს ინგლისში მთელ სახალხო შემოსავალზე იხდიდენ 11 პროცენტს; 1924 წელს და შემდეგ კი 23 პროცენტს. საფრანგეთში 1913 წელში ნაციონალურ შემოსავალზე იხდიდენ 13 პროცენტს; 25 წელს და შემდეგ 21 პროცენტს. იტალიაში 1913 წელს იხდიდენ 13 პროცენტს; 1925 წელს და შემდეგ 19 პროცენტს.

აი დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა ევროპა მსოფლიო ომმა და შემდგომმა პერიოდმა. რასაკვირველია, საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც სამოქალაქო ომმა და ინტერვენციებმა დიდხანს იწარმოვა, გაცილებით უარესი მდგომარეობა შეიქმნა. ამ ნორჩ რესპუბლიკების მატერიალური ბაზა და საწარმოო საშუალებანი ძლიერ დაქვეითდენ. მაგრამ გათავდა თუ არა სამოქალაქო ომი და ინტერვენცია, საბჭოთა რესპუბლიკებმა ჩქარის ტემპით შესძლებს ქვეყნის ეკონომიური ძალების განვითარება.

აი ციფრები რომლებიც ამას ადასტურებენ: სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1924—25 წლებში უდრიდა 71 პროცენტს ომის წინანდელ დროის პროდუქციისას. ესე იგი 1913 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია გამოიხატებოდა 12 მილიარდ მანეთში, 1924—25 წლებში კი, მხოლოდ 9 მილიარდ მანეთში. 1926 წელს, სახელმწიფო საგეგმო ორგანოების დასკვნით პროდუქციამ მიაღწია 11 მილიარდს, ანუ 87 პროცენტს ომის წინა პერიოდისას.

წარმოების ყველა სახე, როგორც სახელმწიფო, ისე კონცესიური და აგრეთვე კერძო 1913 წელში მათი პროდუქცია შეადგენდა 7 მილიარდ მანეთს, 1924—25 წელს კი ეს პროდუქცია უდრიდა 5 მილიარდს, ესე იგი 71 პროცენტს ომის წინა პერიოდის ნორმისას.

აქაც ჩვენი სახელმწიფო საგეგმო ორგანოების გამოანგარიშებით 1926 წელს მოგვეცა 6 ნახ. მილიარდი მანეთის პროდუქცია, ანუ 95 პროცენტი ომის წინა დროინდელ პერიოდისა.

ეხლა გავშინჯოთ ელექტროფიკაციის განვითარება ოქტომბრის რევოლიუციამდის—ელსადგურების ძალა უდრიდა 402 ათას კილოვატს. რევოლიუციის შემდეგ კი აშენდა ახალი ელსადგურები, რომლის სიმძლავრე უდრის 152,35 ათას კილოვატს.

1923—24 წელს სახელმწიფო და კოოპერატიული წარმოება უდრიდა მთელი ნაციონალური წარმოების 76 პროცენტს. კერძო კი 24 პროცენტს. 1924—25 წელს კი სახელმწიფო და კოოპერატიული წარმოება უდრიდა 79,3 პროცენტს. კერძო წარმოება კი შეადგენდა 20,7 პროცენტს. საშუალო სამუშაო ხელფასი 1925 წელს უდრიდა 35 მანეთს, 1926 წლის ოქტომბრის თვეში ეს ხელფასი შეადგენდა 50 მანეთს, ანუ 95 პროცენტს ომის წინადროის ნორმისა. ამის შემდეგ რეალური ხელფასი პროგრესიულად მატულობს და ზოგიერთ დარგებში ხელფასმა კიდეც გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს.

ჩვენ ვფიქრობთ მკითხველს მოსწყინდება კიდევ ციფრებით ლაპარაკი და ამიტომ დროებით დავანებოთ თავი ამ მოსაწყენ საქმეს, ვინაიდან შემდეგშიც მოგვიხდება ლაპარაკი ამ თემაზე.

აქედან ცხადია, რომ ომებით და რევოლიუციებით ეკონომიურად დაზიანდენ არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკები, არამედ ევროპის სახელმწიფოებიც. და რაც უმთავრესია, ევროპამ, რომელმაც ამერიკის სესხი მიიღო, ჯერაც ვერ შესძლო საწარმოო ძალების ისეთ დონეზე აყვანა, როგორც ეს ომის წინა პერიოდში იყო. და თუ ვერ შესძლო ევროპამ, რომელსაც არ განუცდია, ისეთი სოციალური ქიდილი, ისეთი გარდატეხა ეკონომიკის სფეროში, როგორც მოხდა საბჭოთა კავშირში, რათ უკვირს ნოე ჟორდანიას. რომ საბჭოთა ნორჩი რესპუბლიკები ვერ შესძლებენ შეიძლებელს.

ნოე ჟორდანიას მოხსენება, რომ უმთავრესად მძიმე ინდუსტრია ევროპის სახელმწიფოებმა შექმნეს კოლონიების გაძარცვით და საგარეო ომების საშუალებით. ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის მრეწველობის ალორძინება ამ ფაქტებს ადასტურებს.

საბჭოთა რესპუბლიკები კი ვერც ომის პოლიტიკას დაადგება და ვერც კოლონიების გაძარცვას. ის პრინციპიალურად ორთავე ამ ბოროტებას ებრძვის.

მაშ, რა გზით უნდა წარიმართოს მძიმე ინდუსტრიის განვითარება საბჭოთა კავშირში? აქვს თუ არა მას საამისო პირობები? დიახ აქვს. აუარებელი ნედლი მასალა, დიდი გამსაღებელი შინაური ბაზარი და აგრეთვე ის საწარმოო ინვენტარი და საშუალებანი, რაც კერძო კაპიტალს ჰქონდა რუსეთის იმპერიის დროს და რომელიც ძლევამოსილმა პროლეტარიატმა ჩამოართვა მას სოციალისტური რევოლიუციის შემდეგ.

ყველა ეს პირობები კი, რასაკვირველია, სრულ საშუალებას აძლევს საბჭოთა რესპუბლიკებს, განავითაროს საწარმოო ძალები და აჩქარებული ტემპით ასწიოს მძიმე ინდუსტრიაც.

აი საითკენ მიდის ჩვენი სახალხო მეურნეობის გეზი.

ორიოდე სიტყვა პოზიცია-ოპოზიციის შერიგებაზე. რასაკვირველია, ნ. ჟორდანიას არ მოსწონს ეს ფაქტი, ის და მისი ემიგრაცია დიდ იმედებს ამყარებდა ოპოზიციის გამოსვლებზე. პროგრესიულ მოვლენათ სთვლიდა ოპოზიციის ბრძოლას, რომ ემიგრაციისათვის არავითარი სასარგებლო საქმე არ კეთდებოდა. დიახ, ოპოზიცია შეურიგდა პარტიას, უმცირესობა დაუმორჩილა მთელი პარტიის ნებას და აი, სწორედ ეს არის დისციპლინა. და უამისოდ განა შეუძლია იარსებოს რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ? რასაკვირველია არა.

რაც შეეხება პარტიაში აზრთა სხვადასხვაობას, ეს მაჩვენებელია იმის, რომ, კომუნისტური პარტია სიცოცხლით სავსე ორგანიზმია. ნ. ჟ. ეს ყოველივე ჩვენზე უკეთ იცოდა ერთ დროს, მაგრამ ეს ჭეშმარიტება მას ეხლა დავიწყებია.

**ალფესი ხელაძე.**

# გვაკმარეთ

უგუნური პოლიტიკოსების მეოხებით ქართველი ხალხის უმრავლესობა მუდამ ტრაღიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს უმრავლესობა ექლიტებოდა რა სხვადასხვა სახლმწიფოების ძლიერებას, ომების წარმოების სახით, თანდათან ილეოდა და დღეს ქართველი ხალხი 2.600.000 სულამდე ჩამოვიდა თუმცა ერთ დროს 12 მილიონსაც აღემატებოდა.

მე ვამბობ ქართველი ხალხის უმრავლესობათქო და აქ სახეში მყავს ამ ხალხის მშრომელი ნაწილი, მუშები და გლეხკაცობა. თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ბურჟუაზია, ხომ მხედველობაში მისაღები არასოდეს არ ყოფილა და არც ახლა არიან: ისინი ყოველთვის ერის ტრაღიკულ მდგომარეობის დროს იოლად ჰპოულობდნენ გამოსავალ გზას, თავს იოლად ირჩენდნენ. მათ მიერ ამა თუ იმ სახით გამოწვეულ ავანტიურის მთელი სიმძიმე კი მხოლოდ საწყალ გლეხ-კაცობას ატყდებოდა თავზე. ავიღოთ თუ გინდ ისტორიულად ცნობილი დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე. მე არ შევდივარ მის მოღვაწეობის კრიტიკაში, ამისათვის მე ძალიან პატარა კაცი ვარ, მაგრამ ხომ ცხადია, რომ მის ირგვლივ შექმნილი ინტრიგები, ხან სპარსეთში გაქცევა, ხან ოსმალეთში და იქიდან აქ ჯარების შემოსევა და ამით გამოწვეული ალიაქოთი მუსრს ავლებდა საწყალ ხალხს; იხოცებოდა და იქლიტებოდა ჩვენი გლეხ-კაცობა, ათი ათასობით ასახლებდენ მის ოჯახებს სპარსეთის სხვადასხვა ადგილებში.

ასეთი პოლიტიკოსი იყო ირაკლის შვილი ალექსანდრეც, რომელმაც ზიანის მეტი არა მოუტანა რა ქართველ ერს.

დღეს ამ პოლიტიკას აგრძელებს საქართველოს ყოფილი „დემოკრატიული მთავრობა" ნოე რამიშვილის მეთაურობით. როგორც გიორგი სააკაძემ, ალექსანდრემ და სხვა პოლიტიკოსებმა თავისი უკანასკნელი პოლიტიკით ვერ მოუტანეს ქერთველ ერს ვერაფერი გარდა გაჟლეტა-განადგურებისა, ისე ეხლანდელი ემიგრაციის პოლიტიკოსები ვერაფერს მოუტანენ ჩვენ ერს გარდა აუწრელ უბედურებისა, რაც კიდეც დაატეხეს 1924 წ. აგვისტოს თვეში.

ჩვენ გვეგონა, რომ მუშათა კლასის შეგნებული ამოძრავება ასეთ ავანტიურიზმის წინააღმდეგ, გაგებული იქნებოდა ემიგრაციის მიერ დადებითად და ისინი ხელს აიღებდნენ საბედისწერო მოქმედებაზე და მით ხელს შეუწყობდნენ ჩვენი ერის იარების მოშუშებას, მაგრამ როგორც სჩანს, მოვსტყუვდით; ისინი კვლავ განაგრძობენ ქართველი ხალხის დასაკლავ დანის ლესვას და აღარ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რომ მიახწიონ თავის მიზანს.

„მუშათა კომისიამ" შეასრულა თავისი მოვალეობა, რაც მას მუშების მიერ ჰქონდა დაკისრებული. კომისიის წევრებმა არა ერთხელ ჩამოიარეს საქართველოს ყველა რაიონები. მრავალი მოხსენებები გაუკეთეს როგორც გლეხებს, ისე მუშებს თანამედროვე მომენტზე და აგრეთვე ბოლშევიზმ-მენშევიზმის ბრძოლის შესახებ. ხალხი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიზმი არის რევოლიუციონური მოლენა საკავშირო რესპუბლიკების მასშტაბით, რომ რევოლიუციის მონაპოვარი შენარჩუნებულია მხოლოდ ბოლშევიზმის მეოხებით, რომ მენშევიზმი ასცდა რევოლიუციის გზას, რომ მან ნაციონალიზმის დროშის ქვეშ აწარმოვა ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და მით რევოლიუციის წინააღმდეგაც; რომ მენშევიკების გზა არარევოლიუციონურია და დამღუპველია როგორც რევოლიუციისათვის, აგრეთვე ჩვენი ხალხისათვის. ასეთი დასკვნები ხალხმა მიიღო ყველგან.

ამის შემდეგ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რამიშვილის წამოსროლილ ანკესს ხალხი არ წამოეგება. რამიშვილმა უნდა იცოდეს, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს ნიადაგი აგვისტოს ავანტიურისათვის. ერთხელ და სემუდამოთ შეიგნონ ეს საზღვარგარეთ გადახვეწილმა ქართველმა ემიგრანტებმა და ხელი აიღონ ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკზე.

ლ. კუპრაშვილი.

# ეროვნული ამოცანა

უკვე ექვსი წელიწადი სრულდება, რაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა, რაც ჩვენში დემოკრატიული წესწყობილება საბჭოების სისტემით შეიცვალა. 1921 წლის თებერვალ-მარტის ამბებმა ჩვენ დაგვიმტკიცა, რომ ძველი ფორმულა „არც მარჯვენით, არც მარცხნით" **ერს არ გამოადგა.** საჭირო გახდა ახალი გზების ძიება, ახალ პირობებთან შეთანხმებული პოლიტიკური მოდუსის გამონახვა. ქვეყნის წინაშე დაისვა დილემა: საბჭოთა წყობილების მიღება და საერთო ძალღონით მისი გასაუმჯობესებლად მუშაობა, თუ ძველი გზით სიარული, ე. ი. იარაღით ბრძოლა და ყველა იმ შეცდომების განმეორება, რაც რუსეთში სოციალისტურმა პარტიებმა ჩაიდინეს.

**სიცოცხლის ინსტინქტმა ერს პირველი გზა უკარნახა.** აღსანიშნავია, რომ ეს მოხდა ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიურ პირობებში, როცა ეგონათ ბოლშევიკები მოვლენ, ქვას ქვაზე არ დატოვებენ, სიცოცხლეს არავის შეარჩენენო.

ერის ეს ალღო საკმაოდ აღბეჭდილია 1921 წლის პოლიტ-დეკლარაციებში.

1. 10 აპრილს ტფილისში მოხდა მენშევიკების კონფერენცია, რომელმაც აღიარა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საჭიროება.

კონფერენციამ კატეგორიულად უარყო შეთქმულება, საბოტაჟი, ინტერვენცია და განაცხადა, რომ **„მას მიუღებლად მიაჩნია შეთქმულებითი მეთოდები და გადაჭრით აფრთხილებს თავის თანამგრძნობთ და მთელ ხალხს შეიარაღებული გამოსვლებისაგან"**, რომ **„გადაჭრით უარყოფს კავშირს იმპერიალისტურ ძალებთან" და სხვ.** (იხ. 10 აპრილის რეზოლიუცია).

2. საქართველოს სოც-ფედერალისტების (მემარჯვენეები) პარტიამ აღიარა, რომ ის **„ცნობს საბჭოთა სისტემას, ვინაიდან იმ ფორმითაც შეიძლება მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაო"** და მოუწოდა თავის წევრებს ქვეყნის სააღმშენებ ლომუშაობაში აქტიურად ჩაბმისაკენ. (იხ. რეზოლიუცია).

3. ქართველმა ესერებმა „სცნეს საბჭოთა ხელისუფლება" და განაცხადეს: **„საბოტაჟი და სამოქალაქო ომის გაღრმავების პოლიტიკა დამღუპველია საქართველოს მშრომელთათვის. საქართველო ვერ აიტანს იმის მასედს, რაც რუსეთში მოხდა. ამიტომ საქართველოს ყოველი გულწრფელი მოამაგის და მეგობრის მოვალეობაა თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე დავიყვანოთ ის უარყოფითი მოვლენები, რომლებსაც რუსეთში ადგილი ჰქონდა".**

ასევე მოიქცენ სხვა პოლიტიკური მიმდინარეობანიც.

იმდენად, რამდენად ეს დეკლარაციები გამოხატავდა ერის გარკვეულ წრეების სულისკვეთებასა და ალღოს, მას საფუძვლად ედვა ღრმა შეგნება იმის რომ:

1) საქართველოსათვის თავს არავინ შეიწუხებს.

2) საბჭოთა რუსეთთან დავა და ომი საქართველოს „ხელს არ მისცემს".

ამნაირად, **ერმა გრძნობა-გონებას დაუმორჩილა და ახალ გზაზე შედგა.** მხოლოდ 1922 წლიდან ჩვენი საზოგადოების ნაწილი იწყებს ამ **ყველას მიერ ოფიციალურად აღიარებულ ახალ გზიდან გადახვევას,** იგი უბრუნდება თებერვალ-მარტის პოზიციას. 1924 წლის აგვისტოს ამ-

ზებმა დაამტკიცა, რომ ეს იყო უდიდესი ისტორიული შეცდომა და დანაშაული. ეს აღიარა ჩვენი ერის ყველა წრეებმა აგვისტოს ფინალის შემდეგ საგანგებო დეკლარაციებსა დას ხვა პოლიტიკურ გამოსვლებში. და თუ დღესაც დადგება კითხვა ახალი თუ ძველი გზით, იარაღით ბრძოლა, თუ ლოიალობა და თანამშრომლობა, ჩვენ დარწმუნებული ვართ ერის 99 პროც. უეჭველად მეორე გზას ადგია, რასაც ის, თუ საჭირო იქნება, ყოველთვის დაამტკიცებს. მაშასადამე, **ახალი გზა აღებული ჯერ კიდევ 1921 წელს არის ერთად-ერთი გზა, რომლითაც ჩვენ ერს შეუძლია ამ ქვეყნად სიარული და მას ის არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს.**

ბოლშევიზმი ედავება ბურჟუაზიულ სამყაროს. ამ ისტორიულ დავაში ჩვენ, რამდენად ჩვენზეა დამოკიდებული, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიჭიროთ ისეთი პოზიცია, რომ ქვეყანა ფიზიკურად განადგურდეს, ერი გაიჭყლიტოს. ეს არის ჩვენი საღმრთო მოვალეობა. ყოველ ჩვენგანს აქვს პირადათ სრული უფლება „რისკი“ გასწიოს და თავისი საკუთარი ბედი ისე გადასწყვიტოს, როგორც მოესურვება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება **ერი ლატარიაში ჩავაგდოთ.**

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ **ერი ნემსის ყურწში ვერ გაძვრება,** მას სჭირია ფართო გზა, თუნდაც იგი უჩვეულო და არა ტრადიციული იყოს.

ავიღოთ ორიოდე ფაქტი. პოლონეთი დღეს ერთ საკმაოდ მსხვილ სახელმწიფოს წარმოადგენს. გუშინ ის სამად იყო გაჩეხილი, იგი გაინაწილა სამმა უდიდესმა სახელმწიფომ—რუსეთმა, გერმანიამ და ავსტრიამ.

პოლონეთმა სცადა აჯანყების გზები—მაგრამ საშინლად დამარცხდა და დაზიანდა. დღეს ის გაერთიანებულია და საკმაოდ დიდ სახელმწიფოს წარმოადგენს. როგორ მოხდა ეს? აჯანყების გზით ?რა თქმა უნდა არა.

ავიღოთ მეორე მაგალითი. 1918 წლის 26 მაისს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. ახლა ვიკითხოთ, განა ის ჩვენი გეგმიანი მუშაობისა და ბრძოლის შედეგი იყო? რა თქმა უნდა, არა. მისთვის არამც თუ არივინ იბრძოდა, ერთი კვირით ადრე ის არავის უნდოდა. მოვიგონოთ ფაქტები.

**რადგანაც ჩვენ პატარა ერს წარმოვადგენთ და დამოუკიდებლად არსებობა არ შეგვიძლია, ჩვენთვის ნოკავშირეა საჭირო. ვინ სწერდა ამას?** ამას სწერდა გაზ. **ერთობა**“ 1918 წლის 7 **აპრილს** (იხ. გაზ. „ერთობა“ № 8, 1918 წ.).

«Политической формой, лучше всего выражающей вожделения грузинских и мусульманских шовинистов, является сепарация, т. е. выделение, разделение Закавказья на ряд отдельных совершенно независимых друг от друга государств. Лучшим политическим выражением этих дворянских стремлений является «самостоятельная Грузия».

ვინ სწერდა ამას? ამას სწერდა **გაზეთი „ბარბა“ 1918 წლის 18 მაისს** (იხ. ბარბა“ № 105, 1918 წ.).

«Что же представляет собой при таких условиях «самостоятельная Грузия»? Страна, экономически обессиленная, отрезанная от моря, припертая к степе Кавказского хребта, у которой перерезаны все питающие артерии, страна, зажатая в клещи империалистической державы. Это-ли «самостоятельная» страна?

ამას სწერდა იგივე გაზ. „ბარბა“ **1918 წლის 24 მაისს,** ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე **ორი დღით წინ.**

მაშასადამე, დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ყოფილა, როგორც ვსთქვით, ჩვენი გეგმიანი მუშაოისა და ბრძოლის შედეგი. აქ საქართველოს აჯანყება არავითარ შუაში იყო. კიდევ მეტი, რომ 1916 თუ 1917 წელს ვინმეს საქართველოში აჯანყება მოეწყო, მისი სასტიკი მოწინააღმდეგე და დამგმობი სწორედ სოციალ-დემოკრატია იქნებოდა. ჩვენ გვაქვს ამის უტყუარი საბუთები.

ათეული წლების განმავლობაში ჩვენ ოპოზიციაში ვუდექით თვითმპყრობელობას. ამ გარემოებამ ჩვენში შექმნა ანარქისტული მაქსიმალიზმი.

**ან ყველაფერი, ან არაფერი**—აი მისი ლოზუნგი.

ექვსი წლის განმავლობაში ამ ფორმულამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენ ეროვნულ საქმეს. ეს უნდა ითქვას პირდაპირ.

**არც ყველაფერი, არც არაფერი, არამედ ზოგი რამ**—აი როგორ აყენებს ხშირად ცხოვრება საკითხს. ამით ის, რა თქმა უნდა, აქარწყლებს ანარქისტულ მაქსიმალიზმს.

ცხადია, ანარისტული მაქსიმალიზმი, რომელიც სინამდვილეში მინიმუმსაც ხელიდან გვაცლის—ჩვენთვის—ჩვენი ერისათვის—აბსოლუტურად მიუღებელია.

რა არის ერისთვის აუცილებელი?

როდის შეუძლია მას მომავლისათვის დამშვიდებული იყოს?

1) თუ ერის ფიზიკური არსებობა უზრუნველყოფილია,

2) თუ მას აქვს შესაძლებლობა ეკონომიურად წინ წაიწიოს,

3) თუ ის კულტურულად ვითარდება—ერი სხვა დანარჩენ დაბრკოლებას ყოველთვის გადალახავს, ის ყოველთვის გამარჯვებული გამოვა.

სამივე პირობა უკვე არის ჩვენს სინამდვილეში. ამის უარყოფა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ გვაქვს სრული უფლება ჩვენს ეროვნულ მომავალს ოპტიმისტურად ვუყუროთ და ამ მომავლის უზრუნველსაყოფად ყოველ პატიოსან ქართველს უთხრათ:

1) იყავ ფხიზელი. ორივე ფეხით მიწაზე მაგრად უნდა იდგე, ფანტაზიას ნუ აყვები, დროსა და პირობებს უაღრესად ანგარიში გაუწიე.

2) გიყვარდეს სოციალისტური სამშობლო და მის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებაში სინიდისის ქვეშ ჩაები და მას ყოველ მხრით ხელი შეუწყვე.

3) შოვინიზმს, ავანტიურას და გრძნობის პოლიტიკას სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადე.

4) სინამდვილეს ფართოდ შეხედე, ბურსაკულ სივიწროვეს ნუ გამოიჩენ, ანარქისტულ მაქსიმალიზმს თავი გაანებე.

5) მეტი საქმიანობა გამოიჩინე.

6) დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულე.

**ლ. შენგელია.**

# რა ვქნათ?

კულტურულ ქვეყნებში სოციალიზმი შეტევაზე გადავიდა. ამ შეტევას მრავალი რთული მომენტები და საკუთარი დიალექტიკა აქვს. ძველი სამყარო, ჯერ ფრიად მძლავრი, ებრძვის ახალ სამყაროს. კაცობრიობის ამ ორ ოკეანეთა ტალღები ერთ მეორეს ეჯახება. ფაშიზმი, რომელსაც დღეს არამც თუ რეაქციონერები რადიკალ - სოციალისტებიც კი ითვისებენ, არის ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ სოიალისტურ ბრძოლის გამწვავების შედეგი. ფაშიზმი ჩამოყალიბდა კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზია მძლავრია და სადაც მის წინაშე საფრთხე ნათლად წამოიჭრა. ასეთი მდგომარეობა არის დღეს დასავლეთ ევროპაში.

სოციალისტური იდეოლოგიის მატარებელ მუშებმა და გლეხებმა მათი იდეური ხელმძღვანელ ინტელიგენტურ ძალების დახმარებით დაამხო ყოფილ რუსეთის იმპერიაში ფეოდალურ - ბურჟუაზიული წყობილება და იქ შეიქმნა ისტორიაში უმაგალითო საბჭოთა ხელისუფლება. სრულიად ნორმალურია, რომ ბურჟუაზიული ქვეყნები საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და წყობილების მიმართ მტრულად არიან განწყობილი. ამ განწყობილებამ შეიძლება აგრესიული ფორმაც მიიღოს, ომიც მოსალოდნელია, თუმცა ამის მომასწავებელი პირდაპირი ნიშნებს ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ.

ასეთი გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობა საზოგადოების ყველა წრეებში იწვევს ნერვიულობას. მძიმე ეკონომიური პირობები მთელი კავშირის სივრცეზე ამ ნერვიულობას უფრო აძლიერებს. მაგრამ განსაკუთრებული ხასიათისაა ეს ნერვიული მდგომარეობა საქართველოში, სადაც ეროვნულ მომენტს ხალხის პოლიტიკურ განცდაში დიდი სირთულე შეაქვს. აქ პოლიტიკური ნაპერწკალი ადვილად დიდ ალს იწვევს და ამიტომ საქართველოში საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, პოლიტიკური თავდაჭერილობა. ფართე წრეები ხშირად ხდება მსხვერპლად ასეთ პოლიტიკური ნაპერწკალის. ეს წრეები ვერ ერკვევა შემდეგ მთავარ კითხვებში: 1) მოსალოდნელ ომში ფაშისტური მახვილი მიმართულია მებრძოლ სოციალიზმის, მაშასადამე პროლეტარიატის, როგორც კლასის, წინააღმდეგ და მისი მიზანია რეაქციონულ ბურჟუაზიის გამაგრება, 2) მსოფლიო ბურჟუაზიის გამაგრება საბჭოთა ხელისუფლების დამხობას მოითხოვს; 3) საბჭოთა ხელისუფლების ფაშისტური ძალების საშუალებით დამხობა ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე უკიდურესი შავი რეაქციის გაბატონებას, რომელიც შექმნის პოლიტიკურ ანარქიას; 4) კერძოთ საქართველო ამ შემთხვევაში პირისპირ დადგება მისი დაუზოგველ მტრის რუსეთის მეფეთა პოლიტიკურ მემკვიდრის წინაშე და 5) საქართველო მოსალოდნელ საშინელ ბრძოლის გადაწყვეტაზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მტრების მხარეზე მისი გადასვლა არსებითად რეაქციონური და ქართველი ხალხის გამანადგურებელი აქტი იქნება.

თითოეული ამ დებულებათაგანი თავისთავად ნათელია და დიდ განმარტებას არც ერთი მათგანი არ მოითხოის. ამიტომ ამ კითხვებზე ძალიან მოკლედ შევჩერდებით.

ვის ებრძვის ფაშიზმი? ფაშიზმი იბრძვის სოციალისტურ მოძრაობის და ამ მოძრაობის სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბების წინააღმდეგ. ის დღეს ცდილობს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ფაშისტური დიქტატურის განმტკიცებით შეუძლებელ ჰყოს, ე. ი. მისი მიზანია შექმნას ისეთი პირობები, რომელიც მუშათა კლასის მოძრაობას ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ წესწყობილებას დაუმორჩილებს.

შეიძლება თუ არა ჩვენ არ ვიყოთ მტრულად განწყობილი ფაშიზმის და ფაშისტების მიმართ?

რასაკვირველია არა.

ფაშიზმი არის ბურჟუაზიული ძალმომრეობის უკიდურისი იდეოლოგია, ჩამორჩენილი ერთა და მშრომელი ხალხის თასათურგნავათ სასტიკი ბრძოლის გამოცხადება.

ფაშიზმი არღვევს იმას, რასაც ჩვენ ვაშენებთ.

ფაშიზმი ამაგრებს ბურჟუაზიულ კაპიტალიზმს, ჩვენ ვაშენებთ სოციალისტურ მეურნეობას, მაშასადამე ბურჟუაზიის აუცილებელი უდიდესი ამოცანაა სოციალისტური პრინციპებზე აგებული საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, იმ ხელისუფლების, რომელმაც თავის ძირითად მიზნათ დაისახა სოციალიზმის განხორციელება, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე სხვაგან, სადაც მისი პრინციპის განსახორციელებლად ის ხელის შეწყობას შესძლებს.

აი ამიტომ ევროპა - ამერიკის ბურჟუაზია შეათნხმებულად ცდილობს ხელი შეუწყოს საბჭოთა წყობილების მოსპობას.

ორ მებრძოლთა რომელ ბანაკშია ჩვენი ალაგი? აშკარაა, რომ არ შეიძლება ჩვენ ვიყოთ ერთა და მშრომელ ხალხთა დამჩაგვრელ ბურჟუაზიის მხარეზე — პირიქით, ჩვენი შეძლების ფარგლებში ჩვენ მას უნდა ვებრძოლოთ. და თუ ფაშისტურმა ძალებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამხო, განა წინასწარ არ ვიცით მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე თუ როგორი ქარიშხალი დატრიალდება, და რა ძალები გაბატონდება?

დღეს ამ ტერიტორიაზე არის მხოლოდ ერთი პარტია — კომუნისტური. ეს არის ერთად-ერთი ცოცხალი, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ძალა. სხვა პოლიტიკური ძალა აქ არ არსებობს. ამ პარტიის გარშემო არის ერთგვარი მასა, რომელიც, როგორც ქვიშა, ერთი-მეორეს არ ეკვრის და ერთიმეორეს ვერც შეუსისხლხორცდება; ამიტომ ეს მასა დღეს პოლიტიკურ არარაობას წარმოადგენს და ვერავითარ საკუთარ დემოკრატიულ წესწყობილებას ის ყოველ შემთხვევაში დიდხანს ვერ შექმნის. ასეთ პირობებში მოსალოდნელია უკიდურესი რეაქცია, თუ ევროპის ბურჟუაზიამ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა მოხერხა, მისი საშუალებით მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე გაბატონდება მხოლოდ ორი ძალა: რომანოვების მემკვიდრეები და მათი ყოფილი დიდი ბიუროკრატების წრეები და გადარჩენილი ბურჟუაზია, რომელიც ევროპის ბურჟუაზიის ყოველგვარ მოთხოვნილებაზე დასთანხმდება. ამ რეაქციონულ ძალებს რასაკვირველია მხარს დაუჭერს ყველა კუთხის კულაკები, მედუქნეები და მათთან ერთად კლასობრივ შეგნებას მოკლებული ღატაკი მასა. ასით პირობებში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება, მაშასადამე, იქნება უკიდურესი რეაქციის გამარჯვება ნიკოლოზ მესამის და კირილე პირველის გამეფების გზით რაც საშინელ შურის ძიებას გამოიწვევს და საქართველოს გაანადგურებს, ეკონომიურად მას რუსეთის კოლონიად გარდაქმნის და მის ტერიტორიაზე მსხვილ მრეწველობას ფეხს არ მოადგმევინებს

მაშ რა ვქნათ ჩვენ?

**დ. თოფურიძე.**

**(შემდეგი იქნება)**

# ფაშისტური შემოტევა და ჩვენი მიზანი

კაპიტალის გამარჯვება იწვევს ბურჟუაზიის იერიშებს, ინგლისის მემაღაროების დამარცხებამ გამოიწვია საერთო იერიშები მუშათა კლასზედ.

ასეა საზოგადოთ ფსიხოლოგია ბურჟუაზიის და მისი დამცველ მთავრობების, როდესაც მუშათა კლასი თავისი რევოლიუციონური მოქმედებით მედგრათ დგას თავის სადარაჯოზე, მაშინ მოწინააღმდეგე კლასი — ბურჟუაზია ქედ-მოხრილი და განაბული შესცქერის მას, მაგრამ როდესაც მუშათა საერთო ფრონტი ირღვევა, როდესაც მუშათა კლასი თავის რევოლიუციონურ პოზიციებს სტოვებს და ეხვევა პროვოკაციის ქსელში, როგორც ეს მოუვიდა ინგლისის მემაღაროების მუშებს, ბურჟუაზია გამარჯვებას ზეიმობს და იერიშები მოაქვს დამარცხებულ და დაშლილ მუშათა კლასსზე. მის ხელშია ჯარი, პოლიცია, ფული და რასაკვირველია რომ ადვილათ იმორჩილებს თავის მოსისხლე მტერს და ეპყრობა მას, როგორც მონას.

ინგლისის ბურჟუაზიამ არ იკმარა მარტო გაფიცვით დამარცხება, მან ხელფასი დაუკლო, სამუშაო დღე გაადიდა და მრავალი ათასი უმუშევარი დასტოვა უსაქმოდ.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა დიდი დახმარება აღმოუჩინა გაფიცულ მემაღაროელებს. ყველა იმ დახმარებიდან, რაც ინგლისის გაფიცულმა მუშებმა მიიღეს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დახმარება 80 პროცენტს აღწევდა.

ასეთი მხურვალე მონაწილეობა სხვა დანარჩენ ქვეყნების მუშებს, რომ მიეღო, მემაღაროელთა გაფიცვა გამარჯვებით დასრულდებოდა და ასეთი იერიშები მუშათა კლასზედ, რომელსაც ეხლა აწარმოებს ინგლისის ბურჟუაზია, თავიდან აშორებული იქნებოდა.

დღეს ინგლისის იმპერიალისტური მთავრობა ამზადებს ნიადაგს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსალაშქრებლათ, რის გამოც ის ავრცელებს ათასგვარ ჭორებს: თითქოს მემაღაროების გაფიცვა, ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობა, იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ, იყოს გამოწვეული საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით და მათი დახმარებით. რა შუაშია აქ საბჭოთა სოციალისტური ხელისუფლება?

კანტონის სახალხო რევოლიუციონური ჯარი იბრძვის იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, ისინი ახალ-ახალ პოზიციებს იღებენ, მათ უნდათ თავიანთი დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა და მეტი არაფერი, ისინი მუდამ სხვისი გავლენის ქვეშ იყვნენ დღეს კი არ უნდათ აპეკუნები; უნდათ იარონ საკუთარ ფეხზედ. კარგათ მოაწყობენ, თუ ცუდათ თავიანთ სახელმწიფოს კმაყოფილი იქნებიან, ამიტომაც ხმა მაღლა ყველასავით გასაგონათ ყვირიან: „ძირს ხელები ჩინეთისაგან“. ადრე თუ გვიან იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა უნდა უარყონ „ძალათ მაცხონე“ როლი, ყველამ თავის თავს მოუარონ, ყველამ თავის კერას მიხედონ.

მაგრამ ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია.

აქ იმპერიალისტური სახელმწიფოები ამზადებენ ნიადაგს საბჭოთა ხელისუფლებაზედ გამოსალაშქრებლად, ეს არის უმთავრესი მიზეზი.

მართალია ყველა იმპერიალისტები ერთი მეორეს წინააღმდეგ ილესავენ კბილებს, მაგრამ იმავე დროს ცდილობენ ერითანი ბლოკის შეკვრას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ზომებია მიღებული ამ კავშირში გერმანიის ჩასათრევად, აიარაღებენ პოლონეთს, რუმინიას და სხვა წვრილ მოსაზღვრე სახელმწიფოებს.

ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი ემზადება ინტერვენციისათვის ჩინეთში. ომის სუნით თანდათან იწამლება ჰაერი და კვლავ ემზადებიან სისხლის დასაღვრელად.

ამ დროს მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი რას შვრება?

1914 წლის მსოფლიო ომმა გაანადგურა კაცობრიობა, როგორც ეკონომიურად, ისე ფიზიკურად, მომავალი ომი კიდევ უფრო უარესი იქნება. დღეს ბევრია ჩვენში ისეთები, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებენ ომზედ; მათი შეხედულებით საბჭოთა ხლისუფლება დამარცხდება ომში. ასეთი იმედები მათ ბევრჯელ გასცრუებიათ და ახლაც გაუცრუვდებათ, მაგრამ ,რომ კიდეც დამარცხდეს საბჭოთა ხელისუფლება მათი იმედი მაინც უნაყოფო იქნება, რადგანაც ასეთი დამარცხება იქნება დასაწყისი ჯერ ისტორიაში არ ნახული და არ გაგონილი რეაქციისა. თუ დაამარცხეს ბოლშევიკები, ზედ მიაყოლობენ ეგრეთ წოდებულ დემოკრატიასაც. განადგურდება ყოველი ჯურის არა თუ სოციალისტური, სრულიად უკბილო და ყოვლად გაუგონარი დემოკრატიული მოძრაობაც.

ზედმეტი იქნება მაშინ ლაპარაკი მენშევიზმ-ბოლშევიზმ ხედ. გამარჯვებული რეაქცია ერთნაირად ეტყვის ყველას: „მგლიდან ბატკანი არ დაიბადება“, ორივე ერთი რჯულის ხართ, ერთმაც და მეორემაც ადით ამართულ სახრჩობელაზედო. კომუნისტებთან ერთათ ჩაესვენება წიაღსა შინა ამ ვითომდა სოციალისტების მზეც.

დიახ, იმპერიალისტური სახელმწიფოები რაღაც მზადებაში არიან, მაგრამ არა ნაკლებათ ემზადებ ჩვენი ემიგრაცია, როგორც გაზეთებიდან სჩანს კვლავ ამოძრავდა ჟორდანია და მისი „დამოკრატიული მთავრობა“, კვლავ ამზადებენ ისინი 24 აგვისტოს. მათ კიდევ სურთ ახალ ავანტიურაში ჩაითრიონ ქართველი ხალხი. მაგრამ არა, ამას ისინი ვერ შესძლებენ. ქართველმა ხალხმა თავის ზურგზედ გადაიტანა ყველა ის ჭირ-ვარამი, რომელიც მას დაატეხა ემიგრაციამ 1924 წელს, ქართველი ხალხი შეცდომას, რომელიც მან ჩაიდინა 29 აგვისტოს არასოდეს არ ჩაიდენს.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთიანი ფრონტისათვის ემზადებიან, ქართველი ემიგრაცია ბანს აძლევს მას და ელოდება ხელსაყრელ მომენტს. ამ დროს ჩვენ საქართველოს მუაშთა კლასმა, განსაკუთრებით ყოფილ მენშევიკებმა და უპარტიოებმა როგორი ხაზი უნდა ავიღოთ?

ჩვენი ხაზი ერთიდა იგივეა: საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ბრძოლა ყოველგვარ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ, შიგნიდან იქნება ის თუ გარედან.

მე მწამს, რომ ჩვენ დავძლევთ ბნელ ძალებს, მწამს, რომ შევსძლებთ ამ უკანასკნელი ხიფათიდან თავის დაღწევას.

კ. მაჭარაძე.

# ბრძოლის მორიგი საკითხები

ყველა გაკვირვებული არის ჩვენი ახმაურებით და ვერ მიუციათ ანგარიში, თუ რა მოხდა ახალი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელმაც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზედ ბრძოლის მოტივები გამოაფინა. საქართველოს მშრომელი მასა ჩვენს გამოსვლაში უეჭველად დაინახავს იმ მოტივებს, რომლებიც ყოველ რევოლიუციონერს ბრძოლის სამზადისში მოიყვანს.

რა მოხდა? ამოძრავდა ქართული ემიგრაცია, ფარხმალს ისხამს ჟორდანია - რამიშვილის „არმია“ და მზადდება ახალი ავანტიურა. საზღვარ გარეთ გახიზნულ მენშევიზმის ნაშთები საომარ მდგომარეობაში არის და კიდევაც გადაუწყვეტია საქართველოში აჯანყების მოწყობა. მზადდება აგვისტოს ტრაღედია უფრო ფართე პერსპექტივებით და გამარჯვების იმედებით.

ამ ქვეყნათ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და თავის თავად ცხადია, რომ სიკვდილის პირს მისულ ქართულ მენშევიზმის ამოძრავებასაც თავისი მიზეზები აქვს. შემცდარი იქნება ის, ვინც ამ მიზეზების ძებნას საქართველოს სინამდვილეში დაიწყობს. შემცდარი იქნება იმიტომ, რომ აქ, ჩვენს სინამდვილეში არავითარი პირობები არ წარმოადგენენ მენშევიზმის გამოცოცხლების მამოძრავებელ სტიმულებს. საქართველოში უკვე ფაქტი არის მენშევიზმის ისტორიული ლიკვიდაცია. მენშევიზმი აქ დამარცხდა, ერთის მხრით როგორც პოლიტიკური ძალა და მეორეს მხრთ, როგორც საქართველოს სინამდვილეში ძირმოდგმული ტრადიციული „სარწმუნოება“. 1924 წლის აგვისტოს ისტორიულმა ნაბიჯმა მიჯნა გაავლო პოლიტიკურ საქართველოს ძველ და ახალ გზას შორის. განვითარების ახალ ისტორიულ გზაზედ შემდგარმა მშრომელმა საქართველომ დასძლია ტრადიციული მენშევიზმი, თვალი გაუსწორა ლენინიზმის დროშის ქვეშ წარმოებულ ახალ საზოგადოებრივ წყობილების მშენებლობას, რეალურ ფაქტად აღიარა ბოლშევიზმის აღმშენებლობითი უნარი, რევოლიუციონურ - სოციალისტური მშენებლობის მთლიანი ფრონტი აღადგინა რუსეთის მშრომელ მასებთან და გიგანტიური ნაბიჯებით, შეუდრეკელი ლტოლვით და ენერგიით შეუდგა ისტორიაში ჯერ არ ნახულ, კოლექტივისტურ საზოგადოებრიობის აქტიურ მშენებლობას. მან დასძლია მენშევიზმი მიტომ, რომ ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ისტორიის ახალ მოთხოვნილებებს. მან თავის სვლიგეზათ აღიარა ბოლშევიზმი იმიტომ, რომ მასში არის განსახებული იმ სოციალისტურ საზოგადოებრიობის ისტორიულ ნებათქცეული შემოქმედება, რომლისათვის ბრძოლაში კაცობრიობის ავანგარდს, რევოლიუციონურ პროლეტარიატს მრავალი მსხვერპლი შეუწირავს.

საქართველო გამოვიდა ისტორიის ამ ახალ გზაზედ, ის სრულიად გადასხვაფერდა, ხორცი შეისხა და მძლავრად სუნთქავს. მისი ისტორიული სუნთქვა მით არის მძლავრი, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ საზოგადოებრიობის ჯანსაღი ჰაერი არ კუმშავს მის ფილტვებს.

თავის თავად ცხადია, რომ საქართველოს სინამდვილეში არავითარი ნიადაგი არ არსებობს ქართული ემიგრაციის ასამოძრავებლად. მიზეზები სულ სხვა სფეროში უნდა ვეძებოთ.

ევროპის იმპერიალისტური ბურჟუაზია კონსერვატიული ინგლისის მეთაურობით საბჭოთა კავშირის განადგურებას ლამობს. შესდგა მრავალი კოალიციები და ომის საშიშროება თვალწინ გადაიშალა. ბოლშევიზმის შიშით თავზადაცემული ბურჟუაზია, საბჭოთა კავშირის

დაცემით ლამობს კაპიტალისტურ წესწყობილების გახანგრძლივებას. ომის იარაღის ჟღარუნი და თოფის წამლის სუნი. ჩვენ ღრად ვართ დარწმუნებული, რომ ევროპის მუშათა კლასი ჩვენს წინაალმდეგ მომართულ ომს ბურჟუაზიის წინაალმდეგ სამოქალაქო ომად გადააქცევს, მაგრამ საბჭოთა კავშირში მზად არის თავი დაიცვას. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა უბრძოლველად არ მიატოვებს ოქტომბრის ფრონტს და ამის ეშინია იმათ, ვინც ომს გვიმზადებენ. მათ კარგად იციან, რომ ასეთი მძლავრი ციხის გატეხა მხოლოდ შიგნიდგან შეიძლება და ამ მიზნით იყენებენ თეთრგვარდიელთა და მენშევიკურ ემიგრაციას. ევროპაში ქართულ ემიგრაციასთან ერთად ამოძრავდა რუსეთის მონარქისტულ - კადეტურ - ტერ-მენშევიკური ემიგრაცია. ამ ემიგრაციამ, როგორც სჩანს დიდი ფულებიც მიიღო, რომ საბჭოთა კავშირის შიგნით აჯანყების ალი დაანთოს. ამით სურთ საბჭოთა კავშირის შინაგანი დასუსტება, ციხის შიგნიდან გატეხა, ოქტომბრის რევოლიუციის აკვნის მოსპობა. ამ შინაგანი დასუსტებით დაინტერესებულია ემიგრაციის ყოველი დაჯგუფება. ამ შემთხვევისათვის შეთანხმებულია „დიდი მთავარი“ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რომანოვი, ნოე ნიკოლოზის-ძე ჟორდანია, ალექსანდრე თედორეს-ძე კერენსკი, კადეტი მილიუკოვი და სხვები. ქართველი მენშევიკები მოყვა ამ შავრაზმელთა მთლიან ფრონტში და მზად არის საქართველოში აჯანყების მოწყობით გაუადვილოს კაპიტალისტურ ევროპას სოციალისტურ საბჭოთა კავშირის დამარცხება.

მზადდება საქართველოს „განთავისუფლება რუსეთის ბრჭყალებისაგან“ და ამ მიზნით ქართული მენშევიზმი ახალ აჯანყების მოწყობას ეპირება. ამ ტაქტიკით მან სრულიად უარყო ის, რაც „სოციალისტურ ელფერს“ აძლევდა ისტორიულ მენშევიზმს. ახალ მსოფლიო ომის მზადების დროს, მენშევიზმი უკავშირდება იმპერიალიზმს, სცდილობს კიდევაც გამარჯვება გაუადვილოს მას და მით ღალატობს ინტერნაციონალიზმის პრინციპს. იმპერიალიზმის ხელშეწყობისათვის, ვითომდა გამოსული „საქართველოს განთავისუფლების“ ინტერესებიდან, ის უკავშირდება რუსეთის შავი რეაქციის წარმომადგენლებს, მით ფეხქვეშ თელავს საქართველოს მშრომელთა რევოლიუციონურ ტრადიციებს და ღალატობს სოციალისტურ პრინციპებს.

ამ „განთავისუფლების“ ცდით, ის არღვევს ქართველი ხალხის მშვიდობიანობას, ხელს უშლის მას უკვე მძლავრ ნაბიჯებით წარმართულ ორგანიულ მშენებლობაში და მით ღალატობს ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

და განა ამს შემდეგ გასაკვირი არის ახალგზელების ახმაურება?

ჩვენ ვყვირით მიტომ, რომ გვტკივა საქართველო და ვისაც ეს ახალი საქართველო ჩვენთან ერთად სტკივა, ის მთელის თავის ძალ-ღონით უნდა შეებრძოლოს ქართველ მშრომელ ხალხის სახელით მოვაჭრეებს, რომლებიც საშინელებას უმზადებენ ჩვენს ქვეყანას.

**ზ. ჩახვაძე.**

# საუბარი

„პამპულაი შეიკაზმა ფიშტოთი და ჯინჯილითა, უნდა მივადგე ქალაქსა ამოვწყვიტო შიმშილითა“.

ასეთი პამპულა ყველგან საკმაო არის, ხოლო ჩვენში განსაკუთრებით ბევრია. თითქმის ყოველ ჩვენგანში არის პამპულობის ჩანასახი. აიღეთ იმერული სუფრა; თუ ვინმე წამოდგა და „რეჩი“ სთქვა, აგერ მეორე ჭიპზე გასკდება, თუ უკან ჩამორჩა და იმანაც „რეჩი“ არა სთქვა. იმას მესამე ჰბაძავს, მეოთხე და შეიქნება ერთი დაუსრულებელი „რეჩობია“!

პამპულა მეტიჩარა ადამიანია; მუდამ წინ იწევს, თავის გამოჩენა უნდა, ყურადღების დამსახურება, ხოლო საამისოდ ჭკუა არ შესწევს, გამჭრიახობა არა აქვს, თვალი არ უჭრის და ამიტომ სასაცილოა.

უმეტეს შემთხვევაში ის უვნებელია, არაფერს არ დაგიშავებსთ, გაგართობსთ, გაგაცინებსთ, გაგამხიარულებსთ.

ზოგჯერ მაბეზარია და მოსაწყენი თავისი წამდაუწუმი მეტიჩარობით და ერთი და იგივეობით.

მაგრამ პამპულას ცოტაოდენი ნიჭი შესწევს ამავე დროს უსინდისოა. ოო, ერიდეთ: აუარებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

ასეთი პამპულები იყვნენ ჩვენში ბევრგან, შეიარაღებულ აჯანყებას რომ აწყობდენ და მეთაურობდენ. იყო ერთი ასეთი პამპულა ჭიათურაშიაც. ის ხალხს აბრიყვებდა, რაზმავდა: „ბიჭებო, ინგლისის და საფრანგეთის გემებით ჯარი ამა და ამ დღეს ბათომში იქნებიანო; თვითონ კი უბეში ფული ჰქონდა, ჯიბეში—ყალბი პასპორტი, გასაპარავი გზა კი ზეპირად იცოდა.

მერე რა მოხდა?

მოხდა ის, რომ იმისაგან გაბრიყვებული ხალხი დაიღუპა, პამპულას კი ფრჩხილიც არა სტკენია: გაძვრა, გაშპა, გაიპარა, გადაიარა აჭარის მთები და ახლა პარიზში ბრძანდება.

რომ შეხვდეთ ასეთს პამპულას, დიდის რიხით დაგიწყებთ მტკიცებას: რა ვუყოთ რომ ხალხი დაიღუპა, აბა უმსხვერპლოთ რა გაკეთდებაო, მსხვერპლს არ უნდა შევუშინდეთო, თავი უნდა გავსწიროთ, შევსწიროთ, სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო და სხვ. და სხვ. შე ოხერო და შეტიალო, რატომ შენ კი არ გასწირე თავი?

ოო, როგორ არ გასწირა, მან გასწირა თავი, პირველ რიგში იყო, ბარიკადებზე პირველი ავარდა, მაგრამ შემთხვევით გადარჩა და სხვ. და სხვ.

ბევრმა უშველა თავს მაგრამ კიდევ ბევრია ჩვენში ასეთი პამპულა.

იმათ პირდაპირი კავშირი აქვთ ევროპის დიპლომატიასთან, დაწვრილებით იციან ყოველივე, უტყუარ ცნობებს ღებულობენ და დაგისახელებენ თვეს, დღეს და წამს, როდის დაიძვრიან ევროპის იმპერიალისტების ჯარები საბჭოთა საზღვრებისაკენ და სხვა და სხვ.

ასეთი პამპულები ყველგან არიან—სოფლად, დაბაში, ქალაქში. დააქვთ სიცრუისა და ჭორის გაბერილი გუდა, ატყუილებენ გულუბრყვილო ხალხს.

რა თქმა უნდა ჩვენში ბევრია ისეთი ხალხი, რომელსაც პამპულების სიტყვები მალამოსავით ხვდებათ გულზე.

ასეთებია ნათავადარი, ნაბოქაულარი, ნასტრაჟნიკალი, ძველი მემამულე, ბიუროკრატი, ხუცესი და საზოგადოთ ყველა რევოლიუციის მიერ გარიყული.

ყველა მათ, ჰგონიათ, თუ ინგლისში რომელიმე კონსერვატორს ნევრები აეშალა, ამით საბჭოთა წყობილება დაინგრევაო; ამიტომ ყოველ ჭორს ადვილად ითვისებენ და შემდეგ თვითონვე ავრცელებენ სხვა და სხვა დამატებებით.

მათს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის ამგვარი ჭორი ერთგვარი მალამოა და ამიტომ იმათ სწყურიათ ასეთი ჭორები, როგორც ლოთს მაგარი სასმელი. ჭორებით გაჟღენთილ ჰაერში ისინი თავისუფლად სუნთქავენ და შვებასა გრძნობენ.

ერთი ოცნებობს მამულის დაბრუნებაზე, მეორე—მდგომარეობის აღდგენაზე, მესამე—თანამდებობაზე, მეოთხე—ჩინებზე და ყველა ერთად ძველ წყობილებაზე.

ყველას ექნება შენიშნული, რომ ჭორების ტალღა დროგამოშვებით ხან აიწევს, ხან დაიწევს და ჰქრება.

პამპულები და მათი ამყოლ-დამყოლნი მანანასავით დაეძებენ ყოველ ახალ ჭორს.

დაეძებენ ყოველ ახალ ჭორს.

— ე, რა ისმის?

— არაფერი გაგიგია?

ეკითხებიან ისინი ერთმანეთს შეხვედრის დროს.

თუ ჭორმა დაიგვიანა, თვითონვე თხზავენ, რადგანაც უამისოდ დიდხანს არსებობა მათ არ შეუძლიათ.

თუ ემიგრაციაში რაიმე ახალი ნაბიჯები გამოჩნდა, პამპულები მაშინ განსაკუთრებით გამოცოცხლდებიან ხოლმე.

მართლაც ამ ბოლო დროს ინგლისის ლორდებსა და კაპიტალისტებს ნერვები აეშალათ, ამაში, ემიგრაციამ დაინახა საბჭოთა წყობილების აღსასრული და შეუდგა ნაცარქექიას საქმიანობას. იქ უკვე კომიტეტი შეუდგენიათ, იმპერიალისტებისაგან ფულებს ღებულობენ და გადაუწყვეტიათ საქართველოს ხსნა.

პამპულები აქ შეუდგენ საქმიანობას, გააცხოველეს ჭორების ცხობა და ფუსფუსი.

ყოველივე ეს მეტისმეტად წააგავს არაკს, თაგვებმა რომ კატის დამარხვა გადასწყვიტეს.

ემიგრაციას შეუძლია ითამაშოს თავგის როლი, სანამ არ მოსწყინდება, მაგრამ ჩვენში ყოველი შეგნებული ადამიანი უნდა ამხედრდეს ასეთი სიგიჟის წინააღმდეგ და ყურები გამოუჭედოს ყველას გაფრთხილების ძახილით.

ქალი, კაცი, დიდი, პატარა,—ყველა ვისაც კი თავისი ქვეყანა და თავისი ერი უყვარს, მშვიდობიანობის სადარაჯოზე უნდა იდგეს დღეს და მთელი თავისი არსებით უნდა იბრძოდეს, რომ ჩვენში არ ჩაისახოს არავითარი შესაძლებლობაც კი რაიმე ავანტიურისა.

ჩვენ ყველა უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ მტერს —შინაურსაც, გარეულსაც, რომელიც კი საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ დააპირებს წამოსვლას.

ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ხელისუფლებას, რომ მას არა ჰქონდეს მთელი ქართველი ერის ასეთს გარდაწყვეტილებასა და განწყობილებაში არავითარი ეჭვი.

ახლობელი წარსულია და ყველას კარგათ გვახსოვს, რა დღე დააყენა დემოკრატიულმა მთავრობამ ოსებს: აჭარა, ააწიოკა და მათი სოფლები გაანადგურა.

რა იყო მიზეზი?

დემოკრატიულმა მთავრობამ მათ ღალატი დასწამა.

როგორ? დემოკრატიულ მთავრობას ჰქონდა უფლება ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდა თავის მტრებს და სოციალისტურ მთავრობას კი არა აქვს ეს უფლება?

ან იქნება რომელიმე უგუნურს ჰგონია, რომ კომუნიზმის ბედს ქართველ ერს გაათელინებს საბჭოთა ფედერაციის ხელისუფლება?

ამოდენა ფედერაციაში, ისიც ასეთს აბობოქრებულ დროს არ შეიძლებ ყოველივე ისე გაკეთდეს, რომ თვითეული ჩვენთაგანი კმაყოფილი იყოს.

მიუხედავათ ამისა ბევრი რამ არის ჯერ გამოსასწორებელი, შესაცვლელი, გასაკეთებელი და სხვ.; მაგრამ ყოველივე ეს არის ჩვენი შინაური საქმე და ჩვენვე უნდა გავაკეთოთ საერთო ძალღონით ხელისუფლებასთან ერთად.

რამოდენიმე წლის წინად განა შესაძლებელი იყო თუნდა ისეთი საარჩევნო კანონი, როგორიც დღესა გვაქვს? ყოველ მუშას, ყოველ გლეხს განურჩევლად მისი პოლიტიკური რწმენისა სრული უფლება აქვს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და იმოქმედოს თავისი სურვილისა და შეხედულების მიხედვით, ე. ი. აირჩიოს, ვინც მას უნდა.

სად, ევროპის რომელ სახელმწიფოში ანიჭებს კანონი მუშას და გლეხს ასეთს უფლებას?

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როდესაც გვიმტკიცებდენ: ბოლშევიზმს სამოქალაქო ომი ასულდგმულებს, როგორც კი სამოქალაქო ომი გათავდება, ბოლშევიზმი სამ თვესაც ვერ იარსებებსო.

არ გამოდგა მართალი ისე, როგორც ბევრი სხვა წინასწარმეტყველება ბოლშევიზმის ბედის შესახებ.

სამოქალაქო ომი დასრულდა და გაჩაღდა იშვიათი საალმშენებლო მუშაობა.

ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს, რა დიდი საქმე კეთდება ჩვენში: ელექტრონის სადგურები, აბრეშუმის, ბამბის, მაუდის, გრეხილ-ავეჯეულობის ქარხნები, სამზადისი ქაღალდის ქარხნის ასაგებად, საშაქრე ჭარხალის მოსაყვანად, ჭაობების ამოშრობა ფოთსა და ქობულეთში, სარწყავი არხების გაყვანა და სხვ.

ყოველივე ეს დიდი ეროვნული საქმეა თუ არა, დანარჩენს რომ თავი დავანებოთ?

ოოგორცა ჰხედავთ, ბოლშევიზმს მარტო სამოქალაქო ომი კი არ შესძლებია, დიდი საქმეების კეთების უნარი და ძალღონეც ჰქონია.

ამაში დარწმუნდენ გარეშე მტრები, რომლებიც თავის მუშებს და გლეხებს კისერზე აზიან და შეჰქნეს სისინი.

ისისინონ!

იმათ უნდათ, სულელები და გულუბრყვილონი გამონახონ ჩვენში, გააბრიყვონ და შინაური არევ დარევა, აჯანყება გააჩაღებინონ, რომ ამით საბჭოთა აღმშენებლობას ხელი შეუშალონ.

ტყვილად გარჯილან, სხვაგან დაძებნონ,—ჩვენს მუშებს და გლეხებში ასეთი ბრიყვი და გულუბრყვილონი არ მოიძებნებიან.

ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა უნდა იცოდეს, რომ სულ უბრალო არეულობაც კი ჩვენში მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის არის ხელსაყრელი, ჩვენი მშრომელი ხალხისათვის კი დიდათ მავნებელი.

ყოველმა მუშამ და ყოველმა გლეხმა სწორეთ მაშინ უნდა დაიცვან ჩვენში განსაკუთრებული წესრიგი და მშვიდობიანობა, როდესაც გარეშე მტრები ასისინდებიან ხოლმე.

„შხამის და გესლის მთესველნი მოისპენ, არარაობდენ“.

**ივ. გომართელი.**

# საბჭოთა ხელისუფლება და ქალთა საკითხი

„თვითეულმა მზარეულმა ქალმა უნდა იცოდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა“.

**ლენინი.**

ოქტომბრის თვალსაჩინო მიღწევები უაღვოა. დღეს ეს საიდუმლოებას არავისთვის არ წარმოადგენს. ამას ყველა გრძნობს, მაგრამ აშკარად, ხმა-მაღლა და გაბედულად არ ამბობს, არ ამბობს სხვადასხვა მოსაზრებით.

მართლაც და, საბჭოთა კავშირში ამ ერთობ შედარებით კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში ადგილი აქვს ისეთ მიღწევებს, ხორცს ისხამს ისეთი იდეები, რომლის წინაშე სამართლიანად და თამამად შეიძლება ქედი მოიხადოს უაღრესად დაწინაურებულმა დასავლეთმაც კი

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის სწორი ხაზი, რომელსაც ატარებს ხელისუფლება **ქალთა საკითხში**, არ შეუდგები სხვა ბევრ სოციალურ მიღწევათა ჩამოთვლას, ამის შესახებ საკმაოდ ბევრი თქმულა და დაწერილა.

ქალთა ემანსიპაცია, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, 100 პროცენტიანი დღეს ჩვენთან ფაქტია. სრული სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის არც ერთი ქვეყანა მთელს დედა-მიწის ზურგზე, სადაც ქალი ასე სავსებით იყოს უფლებებში გათანასწორებული მამა-კა-

ცთან, როგორც ეს საბჭოთა კავშირშია, მიუხედავათ იმისა, რომ შეიძლება სხვაგან უფრო და გაცილებით უფრო მომწიფებული იყოს ეს საკითხი, ვიდრე ჩვენში.

მაგ. ინგლისში, რომელიც ბურჟუაზიულ ფემინისტურ მოძრაობის კლასიურ ქვეყნად ითვლება, მაგრამ ის მოვლენა ჩვენში არ იწვევს გაკვირვებას იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო მართვა-გამგეობის საჭე ქალთა სახარების „დედა-კაცი და სოციალიზმის“ ავტორის პარტიის ხელშია და ეს უკანასკნელი ხომ ყველა ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა მოსარჩლეა.

საბჭოთა ძალა-უფლებას, რომელიც ბატონ-პატრონია ჩვენი სახელმწიფოსი, ცხადია, მუშათა კითხვასთან ერთად უნდა მოეგვარებია მასთან სოციალურად დაკავშირებული ქალთა საკითხიც. მოაგვარა კიდეც. გაკეთებულია მაქსიმუმი იმისა, რის გაკეთებაც კი შესაძლებელი იყო არსებულ სოციალურ პირობებში. სულ ახლო წარსულის სინამდვილე: ქალის ორმაგი მონობა—ქალი მონა, სქესობრივად (ოჯახში) და მონა კლასობრივად კაპიტალიზმის ურდოებს ქვეშ მოქცეული)—დღეს ჩვენში ანახრონიზმია. ქალი გაადამიანებული. წელგამართული, თავაწეული, შეგნებულად მამა-კაცთან ერთად ეწევა ენერგიულ მუშაობას საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ფუკიდიდის ცნობილი თქმულება: „საუკეთესო ქალად ის უნდა ჩაითვალოს, ვისგანაც ოჯახს გარეთ არა ესმის რაო,—ჩვენ მოქალაქეს სიცილს თუ მოგვრის. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქალისათვის „ოჯახი წარმოადგენდა მთელს ქვეყნიერებას, ხოლო მამაკაცისთვის ქვეყნიერება—ოჯახს“. მშრომელი ქალის სერიოზული და აქტიური გამოსვლები სხვადასხვა საქმიან კრებაზე საბჭოთა ცხოვრების ყოველ-დღიური სინამდვილეა. უნდა ითქვას, დღეს ქალის საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლა და მისი აქტიური შემოქმედება ქვეყნის მშენებლობის საქმეში დიდად და ღირსეულად ფასდება, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი რიცხვი ერთობ მცირეა და ეს აიხსნება იმით, რომ ქალთა დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ განაგრძობს ძველი გზით და შეხედულებებით სიარულს. ეს შეეხება, როგორც ფიზიკურად მომუშავე, აგრეთვე გონებრივად მომუშავე ქალებსაც. კონსერვატიზმისა და ტრადიციების მორევში, რომელიც ეანდერძა ქალს მისი ისტორიული ცხოვრების უკუღმართობით, იგი დღესაც დასცურავს. ქალი იჩენს საზოგადო საქმისადმი გულ-გრილობას და ეს მაშინ, როდესაც მის წინაშე გადაშლილია ფართე ასპარეზი პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის. მმართველი პარტია გააფთრებით ებრძვის ქალის ამგვარ თვისებებს სპეციალურ მუშაობის გაჩაღებით სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციების სახით), მაგრამ რომ იქნეს ეს ბრძოლა ნაყოფიერი თვით ქალი უნდა შეეცადოს თავის თავის გათვითცნობიერებას, მომზადებას. თუ დღეს მომზადებულ ქალთა კადრი არა გვყავს, (და რომ არა გვყავს ეს ცხადჰყო ამას წინად დასრულებულ მე-7 საქართველოს პარტკონფერენციამ, სადაც კონფერენციის წინაშე წამოჭრილ საჭირბოროტო კითხვებზე ქალის ხმა კანტი-კუნტად თუ მოისმოდა, რაც აღნიშნულ იქნა საკავშირო კომპარტიის წარმომადგენელის მიერ) ეს მშრომელ ქალს რიცხვილად არ ჩაეთვლება. არ ჩაეთვლება იმიტომ, რომ ქალი უხსოვარ დროიდან მთელი ისტორიის გასწვრივ წარმოადგენდა სოციალურად ჩაგრულ არსებას (მონობა მტერია ყოველგვარ გათვითცნობიერების, ხოლო წლები ამისათვის საკმარისი არ არის). სამაგიეროდ დიდი დანაშაულობა იქნება ისტორიის წინაშე თუ მასში არ იქნება ლტოლვა და მისწრაფება თვითმოქმედებისადმი, მომზადებისადმი საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ. დღეს ქალს დიდი უფლებები აქვს და ეს მას უამრავ მოვალეობას აკისრებს.

სწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა დიადი მერმისისათვის—სოციალიზმისათვის და მშრომელმა ქალმა მშრომელ მამა-კაცთან ერთად უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ ბრძოლაში საბჭოების, კოოპერაციის და პროფკავშირებში მუშაობის დაკავშირებით. ქალი უნდა გახდეს კულტურული, შეგნებული მშენებელი სოციალიზმის, ქალს უნდა ახსოვდეს, რომ სოციალიზმი მისთვის აღთქმის ქვეყანაა, რომ მხოლოდ ის შესძლებს ქალთა საკითხის სავსებით და მთლიანად გადაჭრას—ოჯახის პრობლემის მოგვარებით, რომელიც შეიძლება დღეს ქალის პასივობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყოს. ვინ არ იცის რა წვრიმალ და თანაც ტვინის გამომაყებელ მუშაობას ეწევა დღეს ქალი ოჯახში. უკანასკნელს ჩვენში ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ეკონომიური მნიშვნელობა, რაიც შედეგია ჩვენი ტეხნიკურად ჩამორჩენის. საზოგადოებრივი აღზრდა, სასადილოები, (რომლის ჩანასახები უკვე არის ჩვენს სინამდვილეშიც) ცენტრალური სამზარეულო, სამრეცხაო და სხვა ჩამოაშორებს ოჯახს ბევრ ფუნქციებს, გაანთავისუფლებს ქალს ბევრ უმადურ შრომისაგან და მიეცემა მას საშუალება ეზიაროს რევოლიუციის ყოველგვარ მონაპოვართ. ამ მიზნების მისაღწევად ბრძოლა უკვე სწარმოებს და საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამხ. ლენინის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ამ ბრძოლაში ასეული ქალების ნაცვლად მონაწილეობას მიიღებენ მილიონი და მილიონი ქალებ.

**ალექსანდრა ღლონტი.**

# ნიღაბი აიხადეს

საბჭოთა ხელისუფლებას თავიდანვე ორი სახის მტერი გაუჩნდა. ერთი ამ მტერთაგანი იყო მსოფლიო ბურჟუაზია და მეორე კი — მსოფლიო მენშევიზმი. ერთიც და მეორეც ერთ წერტილში სცემდა, ნიშანში საბჭოთა ხელისუფლება ჰქონდათ ამოღებული. მართალია, ბურჟუაზიისა და მენშევიზმის ბრძოლის მეთოდები განსხვავდებიან, მაგრამ ეს განსხვავება იყო უფრო ფორმალური ხასიათის. არსებითად კი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაში მათ შორის არავითარი განსხვავება არ იყო. როგორც ერთი, ისე მეორეც მთელი თავისი არსებით ცდილობდა ამ ხელისუფლების დამხობას.

ბურჟუაზია თავის მტრულ განწყობილებას საბჭოთა კავშირისადმი ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა შებღალა „წმინდათა წმინდა“, კერძო საკუთრების პრინციპი და მით სასიკვდილო ლახვარი ჩასცა კაცობრიობის მიერ საუკუნოებით შექმნილ „კულტურას“.

რა თქმა უნდა, სულ სხვა მოტივებით ამართლებდენ სოციალისტები საბჭოების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას. ამით საბჭოთა მართველობა ტირანიათ, სოციალისტურ მოძრაობის დამსამარებლად გამოაცხადეს და მაშასადამე, საჭირო იყო სასტიკი ბრძოლის წარმოება ასეთი მმართველობის მოსასპობად.

ამ ბრძოლებში ბურჟუაზია უფრო გულახდილი იყო. ის აშკარად აღიარებდა, რომ ვერ იომენდა საბჭოთა კავშირის არსებობას და თავის მტრულ განწყოილების დაფარვას არ სცნობდა საჭიროდ. სულ სხვა მდგომარეობაში იყვენ სოციალისტები. ესენი ვერასოდეს ვერ ბედავდენ საბჭოთა რუსეთის მიმართ თავიანთ ნამდვილი ზრახვების სააშკარაოზე გამოტანას. და ეს იმიტომ, რომ ბოლშევიზმის შეფასებაში მენშევიკ - ბელადთა აზრებს არ იზიარებდენ მათი გავლენის ქვეშ მყოფი მუშათა მასები.

რუსეთის ცარიზმისა და ფეოდალიზმის ნაშთების ძირბუდიანად აღმოფხვრამ, ბურჟუაზიის განადგურებამ და სახელმწიფო მმართველობის სადავის მუშათა კლასის ხელში აღებამ, პირდაპირ ჯადოსნური გავლენა მოახდინა მსოფლიო მუშთა კლასზე. და ამიტომ, არც თუ ისე ადვილი იყო „სოციალისტ“—ლიდერთათვის ბოლშევიკების წინააღმდეგ აშკარად გალაშქრება. საჭირო შეიქნა

ბოლშევიზმისადმი, ამ „წყეულ საკითხისადმი", რაც შეიძლება ფრთხილი და დიპლომატიური მიდგომა, მუშების განწყობილებისათვის ანგარიშის გაწევა.

სწორედ ამ გარემოებით უნდა ავხსნათ, რომ მსოფლიო მენშევიზმის შტაბის, მე-2 ინტერნაციონალის, საბჭოებისადმი დამოკიდებულებამ ასე დიდი ევოლიუცია განიცადა რუსეთის გასაბჭოების პირველ ხანებში, ინტერნაციონალის ყველა კონგრესებზე, რუსეთის საკითხის შესახებ გამოჰქონდათ რეზოლიუციები, რომელშიაც გმობდენ რუსეთის საქმეებში ჩარევას და შეიარაღებულ ინტერვენციას, მაგრამ თუ საბჭოთა წყობილების დამხობა შესაძლებელი გახდებოდა შინაური ძალებით, ეს სასურველადაც მიაჩნდათ და ამის იმედიც ჰქონდათ. მენშევიკური ქურუმები დარწმუნებული იყვენ, რომ ბოლშევიზმის მემკვიდრე რუსეთში მათი სათაყვანო „დემოკრატია" იქნებოდა. მაგრამ რაც დრო გადიოდა ასეთ იმედს ფრთები ეკვეცებოდა და ფეხს იკიდებდა რწმენა, რომ ბოლშვიზმის ლიკვიდაცია გააძლიერებდა რეაქციის არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს მსოფლიოში. ამის აშკარა ნიშნები უკვე იყო და ამას განსაკუთრებით მწვავედ მუშათა კლასი გრძნობდა.

დაიწყო ახალი ხანა. მე-2 ინტერნაციონალის პარტიათა ლიდერები, მუშათა კლასის ზეგავლენით, იძულებული შეიქნენ საბჭოების მიმართ გამოეცვალათ კილო. თუ წინად რუსეთის საქმეებში მხოლოდ გარეშე ძალბის ჩარევას „ებრძოდენ" და შიგნიდან აფეთქების იდეას კი თავგამოდებით იცავდენ, თუ წინად საბჭოების საწინააღმდეგო სიტყვებში ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ და ამ მხრივ სრული ერთსულოვნება სუფევდა, ინტერნაციონალის მარსელის კონგრესზე საერთო ხოროში დისონანსი შეიტანეს მენშევიზმის გამოჩენილმა ბელადებმა, პირველ რიგში, ოტო ბაუერმა, რომელმაც საბჭოთა კავშირი „რევოლიუციის ერთად-ერთ დასაყრდენ კერად" აღიარა. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ბაუერისავე წინადადებით კონგრესმა მიიღო ლოზუნგი „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან".

ამ მოვლენამ ბევრი გააკვირვა და ბევრს ილიუზიები დაუბადა. ბევრს ეგონა, რომ მარსელის კონგრესის რეზოლიუცია პირველი მერცხალი იყო და რომ შემდეგში შესაძლებელი შეიქნებოდა მე-2 და მე-3 ინტერნაციონალელის გაერთიანება.რა თქმა უნდა,ასეთი აზრები მოკლებულ იყვნენ ყოველგვარ საფუძვლებს. სინამდვილეში, მარსელის კონგრესზე მენშევიზმის ბლადთა მიერ მიღებული რეზოლიუციები და ლოზუნგები და პირველ ყოვლისა ლოზუნგი „ხელები შორს საბჭოთა რუსეთიდან", პოლიტიკური ფარსი იყო და სხვა არაფერი. კი, მაგრამ რისთვის დასჭირდათ ასეთი ოთურმის გათამაშება? მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის თვალის ასახვევად, ნამდვილი ზრახვების დასაფარავად. სხვა მიზანი ამ გამოსვლებს არ ჰქონია. და მართლაც იმ ხანებში მეორე ინტერნაციონალის მიმდევარ მუშებში ფეხი მოიკიდა ბოლშევიზმის ბაცილებმა. ბოლშევიზმისადმი ევროპიულ მუშების სიმპატია დღითი დღე იზრდება. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ევროპის მუაშთა დელეგაციები, რომლებიც უშუალოდ ეცნობოდენ საბჭოთა კავშირის სინამდვილეს, ევროპაში დაბრუნებისას, თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარედენ იქაურ მუშებს და აგიტაციას ეწეოდენ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

აი, ამ მდგომარეობამ ძლიერ დააფიქრა მენშევიკური დიპლომატები. საჭირო იყო რაღაც ახალი პოლიტიკური მანევრი, რომელიც მუშებს დაამშვიდებდა. ამ მომენტში ბოლშევიკების აშკარა მტრობის გამოჟღავენება მუშებს კიდევ უფრო გადისვრიდა ბოლშევიკურ ბანაკისაკენ. მეორე ინტერნ., რომ კაუცკისათვის დაეჯერებია და საბჭოთა კავშირისათვის აშკარა ჯვაროსნული ომი გამოეცხადებია, დღეს გაცილებით უფრო შეთხელებული იქნებოდა მისი მიმდევარი მუშათა რაზმები. მაგრამ მასწავლებელს მოწაფემ აჯობა შორსმჭვრეტელობაში და დიპლომატიაში. უებარი წამალი ოტტო - ბაუერმა გამონახა, ეს წამალი იყო თვალთმაქცური „მემარცხეობა" მუშების გულის მოსაგებად, ამ ზომებმა მართლაც გასჭრა. დროებით დაამშვიდა მენშევიკური მუშური წრეები.

მაგრამ ყველაფერს ხომ დასაწყისიც აქვს და დასასრულიც. ნამდვილი ბუნების სამუდამოდ დაფარვა შეუძლებელია. და აი, ამ დღეებში ჩვენ გავეცანით მენშევიზმის ერთ-ერთ ცნობილ ბელადის, ფილიპ შეიდემანის მიერ რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვის შინაარსს, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ მენშევიზმმა ვერ მოახერხა თავისი ნამდვილი ბუნების საბოლოოდ დამალვა და ბოლშევიზმისადმი სიძულვილი და მტრობა სააშკარაოზე გამოიტანა. ბ-ნი შეიდემანი, ინგლისელ ლორდებთან შეხმატკბილებით. ისტერიულად გაჰკივის საბჭოთა იმპერიალიზმზე, „წითელ გრანატებზე" და მოუწოდებს „კულტურულ" კაცობრიობას სამღვთო ომისათვის საბჭოების წინააღმდეგ.

რაშია საქმე? რით უნდა ავხსნათ შეიდემანების იერიშები?

როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, მენშევიკ - ბელადები თავიდანვე ყოველმხრივ ხელს უწყობდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, მაგრამ „შესაფერ" დროს უცდიდენ. ეს მომენტი, მათი აზრით, უკვე „მოამზადეს" მათმა ხაზეინებმა, ინგლისელ კონსერვატორებმა საბჭოთა გარემოცვის პოლიტიკით და ცხადია, ხაზეინების ბუკსა და ნაღარას „გადამჭრელ" მომენტისათვის შეგირდებიც უნდა აყოლოდენ. დიახ, იმ დროს, როდესაც მსოფლიო რეაქცია ფრთებს შლის, ხელში მახვილს იღებს მუშათა მოძრაობის ჩასაღრჩობად და ბაუერის სიტყვით რომ ვთქვათ „რევოლიუციის ერთად - ერთ დასაყრდნობს საბჭოთა კავშირის წასალეკად, მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელები, ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიო პროლეტარიატს მოუხმონ ერთიან ფრონტისაკენ, რეაქციონერებს უმშვენებენ გვერდს და მათთან შეხმატკბილებული თავს ესხმიან საბჭოთა კავშირს.

სად არის ეხლა მარსელის კონგრესის ლოზუნგი „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან"?

მაგრამ ვინ არ იცის, რომ მსოფლიო მენშევიზმის სიტყვა ერთია და საქმე მეორე, სიტყვით მუშათა კლასზე ლოცულობს და საქმით ბურჟუაზიის წისქვილს ასხამს წყალს. რას იზამ, ასეთია მისი წვრილ ბურჟუაზიული ბუნება. ცხადია ინგლისელ ლორდების მიერ გაბერილი დიპლომატიური საპნის ბუშტი სულ მალე გაჰქრება და შეიდემანების მოწოდებაც დარჩება ჰაერში გადმოკიდებული. მხოლოდ მუშათა კლასმა აუცილებლად უნდა ისარგებლოს ამ გაკვეთილით მენშევიკ - ბელადებმა ნიღაბი აიხადეს. ნამდვილი სახე დაგვანახვეს. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ გადამჭრელ ბრძოლების დროს მენშევიზმი ბურჟუაზიას უწყობს ხელს. ეს საათნადოთ უნდა შეაფასოს მუშათა კლასმა და აქედან შესაფერი დასკვნა გამოიტანოს.

მომავალში, თვალთ მაქცობას და ცბიერებას არ უნდა ექნეს გასავალი.

ა. ჩაჩუა.

# ქართველი ერის ახალი ტრაღედიის ავტორები

1924 წ. აგვისტოში მენშევიკების მიერ მოწყობილი ავანტიურით გამოწვეული იარები ჯერ კიდევ სავსებით არ განუკურნავს საქართველოს მშრომელ ხალხს და უკვე არის იმის ნიშნები, რომ ამ ტრაღედიის ავტორებმა შეადგინეს სცენარი ახალი ტრაღედიის გასათამაშებლათ.

რომ ეს ვაჟბატონები ქართველი ხალხის ინტერესებს საკუთარი სურვილების მიხედვით ათამაშებდა მუდამ, ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით და ვინც არ იცოდა, ვისთვისაც ეს გამოურკვეველი იყო, დღეს მაინც მისთვისაც აშკარა იქნება.

თუ მათი აქ ბატონობის დროს ახერხებდენ დაეფარათ ნამდვილი სახე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1921 წლის შემდეგ ბევრი რამ გამოირკვა, ბევრ რამეს ისეთს აეხადა ფარდა და ბევრი რამ ისეთი გამოაშკარავდა, რომ მენშევიკების უაღრესი პატრიოტებიც კი გულაცრუებულნი დარჩენ. თუმცა საკმაოთ შორს მანძილზეა ნ. ჟორდანია და მისი „დემოკრატიული მთავრობა“ დაშორებულნი საქართველოს სინამდვილეს, მაგრამ ის კი უდაოა, რომ მათ ძალიან კარგად უწყიან თუ როგორი აზრისა და შეხედულების არიან მათზე საქართველოს მშრომელები· მშვენივრად გრძნობენ იმასაც, რომ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალის ერთოდ და მათ შორის საქართველოსაც ისინი კაპიტალის გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ იმ მშრომელთა ხელშია, რომლებმაც კარგა ხანია ზურგი შეაქცია მენშევიკებს შეგნებულად და კომპარტიის ხელმძღვანელობით სჭედს თავის მომავალს.

ყოველივე ეს უწყიან ამ ვაჟბატონებმა და შინაურ ძალებზე გულგატეხილნი და უიმედონი, იმედს ამყარებენ საგარეო პოლიტიკის გართულებაზედ, ესე-იგი საბჭოთა კავშირზე გარეშე მტრების მიერ იერიშის მოტანის დროს ხელის მოთბობას აპირებენ. იმ უბედურებაზედ, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთ საერთოდ და მათ შორის საქართველოსაც, ისინი კაპიტალის შეძენას ლამობენ. მაგრამ ისინი მალე დაინახავენ, რომ მათი ასეთი ანგარიში ვერ არის სწორად შედგენილი... პირველად ის, რომ საბჭოთა კავშირი თუმცა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რომ თავიდან აიშოროს ომის საფრთხე, მაგრამ თუ ასეთ მდგომარეობაში მას იძულებით ჩაითრევენ, არც თუ ისე მოუმზადებელი შეხვდება ის ამ უბედურებას... ნურც იმას დაივიწყებენ, რომ თუ ასე ადვილი ყოფილიყო საბჭოთა კავშირისათვის ომის თავზედ მოხვევა, ამას დიდი ხნიდან მოიქმედებდენ ევროპის იმპერიალისტები. არც ევროპის სახელმწიფოთა მუშათა კლასის განწყობილება საბჭოთა კავშირისადმი უნდა გამოეპაროს ყურადღებიდან ნ. ჟორდანიასა და მის „მთავრობას“.

მაშასადამე, თუ კი ეს ასეა, იბადება კითხვა: რით ხელმძღვანელობენ ეს ხალხი, როცა ახალი ავანტიურის გუნებაზედ დგებიან და ვის, ან რისთვის ესაჭიროება ასეთი გარემოების შექმნა და ამაზე ჩოჩქოლის ატეხა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მიზეზი სულ სხვაა, საქართველოდან გატანილი სახალხო ქონება უკვე გამოელიათ. სახლში დაბრუნება კი, როგორც ვიცით, მათთვის ხელსაყრელი არ არის. ევროპაში ცხოვრებისთვის კი საჭიროა წყარო, სახსარი და ისინიც იძულებული შეიქნენ ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზ. კარები ჩამოეარათ ხელ გაშვერილნი და მოწყალება ეთხოვათ **„ტანჯულ საქართველოს გასანთავისუფლებლათ“**... და რაკი ჰონორარი წინდაწინვე მიიღეს, საჭირო დარჩა ახალი ტრაღედიისათვის გეგმის შედგენა და ისინიც სცდილობენ მოაწყონ ქართველ ერის ტრაღედიის მეორე მოქმედების გათამაშება.

მაგრამ საქართველოს მშრომელი მასები არ წამოეგებიან მათ მიერ წამოსროლილ ავანტიურის ანკესზე, ქართველმა ხალხმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი რამ ისწავლა და სხვათა შორის ისიც, რომ ჟორდანიამ და მისმა „დემორკატიულმა მთავრობამ“ ის საშინლად მოატყუილა და ავანტიურის მსხვერპლი გახადა...

**ვ. ნინიძე.**

# ამხ. ბარნაბ ძველაიას სიტყვა

## წარმოთქმული ქუთაისის მაზრის ახალგზელთა აქტივის კრებაზედ.

ამხანაგებო, კომუნისტურ პარტიის ცეკასთან არსებულმა ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებამ დამავალა თქვენთან მუშაობა. ეს დავალება მე დიდი ხალისით მივიღე. თუ პირველი სიტყვა ეკუთვნის ტფილისს მუშებს, მეორე სიტყვა, უდაოთ, თქვენ დასავლეთ საქართველოში მომუშავე ამხანაგებს გეკუთვნით. ნაძალადევის მუშებმა, 1924 წ. 7—8 ოქტომბერს, მთელ ქვეყანას ამცნეს, რომ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკას დაღუპვისაკენ მიყავს საქართველოს მშრომელი ხალხი.

მუშათა კომისიაში, რომელიც ნაძალადევის მუშებმა აირჩიეს, არ იყვენ „დიდი კაცები“, მაგრამ მათ ფრიად დიდი ისტორიული საქმე გააკეთეს. სტორიაში ხდება მაგალითები, როცა სარდლის მიერ გაფუჭებულ საქმეს უბრალო ჯარისკაცები გამოასწორებენ. ჩვენი ლიდერები დაიბნენ, მაგრამ მუშებს უშველა მუშურმა ინტიქტმა, მათ შესძლეს სწორი გზის გამონახვა. ეს გზა არის რევოლიუციონური. ამ გზას მივყავართ ჩვენ კომპარტიასთან თანამშრომლობისაკენ მშრომელთა საქართველოს საშენებლად, კომუნისტურ იდეების გასავრცელებლად და გასამტკიცებლად. ამ გზაზე ჩვენ, ახალგზელებმა, უნდა მეტი სიმტკიცე და აქტივობა გამოვიჩინოთ. რამიშვილი კიდევ ფიქრობს აგვისტოსებურ გათამაშებას. ამ მიზნისათვის მას, ცხადია, ყველა მაზრაში დასჭირდება თავისი აგენტები ყავდეს. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ რამიშვილის პოლიტიკა სრულ განადგურებამდე მიიყვანს ქართველ ხალხს და, მაშასადამე, მისი აგენტობა არ იქნება ქართველი ხალხის სამსახური. ჩვენ უნდ გვახსოვდეს, რომ ავტორიტეტები, თუ უკუღმართ გზაზე შედგენ, უსათუოდ დაღუპავენ ხალხს. ტყვილა კი არ სთქვა მარქსმა: „ავტორიტეტების გაღმერთება დაღუპავს პარტიასაც და ხალხსაცო“.

მე არ შემიძლია, ამხანაგებო, არ მოვიგონო ცოტა რამ ჩვენი ახლო წარსულიდან. დავიწყებ 1921 წლიდან, როცა ჩვენ, დამარცხებულნი, ბათომში ვიყავით მომწყვდეულნი. ამ დროს იქ იყო, როგორც ყოფილი მთავრობა, ისე დამფუძნებელი კრებისა და სხვადასხვა პარტიების აქტივი. ჩვენ გვეუბნებოდენ, ბათომში მოვედით სტრატეგიული მოსაზრებით, ევროპიდან მივიღეთ საკმაო იარაღი, გურიაში ჩავატარეთ მობილიზაცია და აქედან შეუტევთ ბოლშევიკებსო. ამ სიცრუემ, ჩვენდა სამწუხაროდ ბევრ დიდკაცებსაც დაასხა თავს ბრუ. ნოე რამიშვილმა, ბათომში, სოც.-დემ. პარტიის აქტივის დახურულ კრებაზე უტიფრად განაცხადა—ჩვენ ბრძოლა არ წაგვიგია, გურიაში მობილიზაცია ჩავატარეთ 45 წლამდე და ვაცამჭრელ ბრძოლებს ეხლა ვიწყებთო...

დამფუძნებელი კრების ოპოზიციამ — სხიველებმა, ესერებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა მოიწვიეს დამფუძნებელი კრების სხდომა და მოსთხოვეს მთავრობას ანგარიში. ამ სხდომაზე მოხსენებით ნ. რამიშვილი მობრძანდა და ერთხელ კიდევ მოგვატყუა:—ომი წაგებული არაა და ჩვენ ისევ შეტევისათვის ვემზადებითო. მეორე დღეს, მთავრობა და ნაწილი პარტიის აქტივისა გემებით გაიპარენ ევროპაში. აი, ამგვარად, ნ. რამიშვილმა მოატყუილა პარტია და მთელი ერი.

პარტიას უნდა დაეფასებია საქართველოს გასაპჭოება. ამ მიზნით, თბილისში მოწვეული იქნა თათბირი 1921 წ. 10 აპრილს, რომელსაც 3.000 კაცამდე დაესწრო. პარტიამ ამ თათბირზე უარყო აჯანყებისა და ინტერვენციის პოლიტიკა და დადგა საბჭოთა პლატფორმაზე. პარტიამ გონიერი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ რეზოლიუციის ავტორები სუსტი გამოდგენ. რეზოლიუცია ცხოვრებაში ვერ გაატარეს. იწყება აჯანყების პოლიტიკა. 1922 წელს თანახმად ნ. ჟორდანიას „მთავრობის" [illegible]ლებისა ეწყობა ჩვენში პარტიული კომიტეტი, პირველად შეცდომაში შეყვანილ იქნა ყველაზე მეტად ჩამორჩენილი კუთხე—სვანეთი. შემდეგ დუშეთი და ასე... პარტიის პოლიტიკა და ტაქტიკა დაშორდა ერთმანეთს. პარტიაში აჯანყების საკითხში არ არსებობდა მთლიანობა. ამ ნიადაგზე მზადდებოდა უკმაყოფილება განსაკუთრებით მუშებში, და ჩვენ მოწამე შევიქენით იმ ფაქტისა, რომ, როცა ფარნიევის მეთაურობით 12 ათასმა მუშამ მიატოვა სოც.-დემ. პარტია. პარტიის კრიზისი გრძელდება. რამოდენიმე ხნის შემდეგ პარტიას სტოვებენ ბევრი მისი თვალსაჩინო წევრები ინტელიგენტებიდან პარიზელები დაიბნენ, შეშინდენ: დაინახეს რომ არა მარტო პარტიული მასა, არამედ ბევრი ლიდერთაგანიც დაადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოვებისა და თანამშრომლობის გზას. საჭირო იყო რალაც პოლიტიკური მანევრი დაქანებულ ტალღების შესაჩერებლად. ხსნა აჯანყების დაჩქარებაში დაინახეს.

ევროპიდან აჯანყების მიზნით ჩამოსულებმა ნ. ხომერიკმა, ბენია ჩხიკვიშვილმა, ვალიკო ჯუღელმა და სხვებმა შესძლეს ხალხის ერთი ნაწილის გაბრიყვება. გამოვიდა რამოდენიმე სოფელი. ქალაქის მუშებს არამც თუ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ გამოსვლებში, პირიქით, ისინი სასტიკი წინააღმდეგი იყვენ. თქვენ ყველამ იცით თუ რა დიდი ტკივილები მიაყენა ჩვენს ხალხს ამ დამღუპველმა ნაბიჯმა.

დაიწყო კრიზისი ემიგრაციაში. როგორც გამოირკვა, წერეთელმა, ჩხეიძემ და ჩხენკელმა არც კი იცოდენ, თუ ასეთ საშინელებას ამზადებდა რამიშვილი საქართველოში. და როცა განსვენებულმა ჩხეიძემ ამხილა რამიშვილის პოლიტიკის დამღუპველობა, საპასუხოდ „გამოჩერჩეტებული ბერიკაცის" სახელწოდება მიიღო. წარმოიდგინეთ რამიშვილი, ეს ნამდვილი ბოროტი სული, ქართველი ხალხის საზიანოდ გაჩენილი, სისხლის დაღვრის მეორე დღესაც არ ისვენებდა და წერილში იმუქრებოდა აჯანყება ვერ ჩაატარეთ, თვალსაჩინო ადგილებში ვერ მოაწყვეთ და მოითხოვდა კვლავ განეგრძო ხალხს ხიდეებისა და გზების აფეთქება. მოითხვდა საპორტო ქალაქების დანგრევას, რომ ამით ევროპა აგვეხმაურებია. პარტიას ურჩევდა პარტიზანულ ომის ხელმძღვანელობას.

აი, ამხანაგებო, დაახლოვებით რის თქმა, რის მოგონება მინდოდა. ასეთი ურა პოლიტიკის წარმოებას გულხელდაკრეფილი ვერ შეხვდებოდა თბილისის მოწინავე მუშები და სათანადო ახალი სიტყვაც ითქვა ნაძალადევის მუშების მიერ 1924 წელში. ამ ახალ სიტყვას გაყვა ყველა სასიცოცხლო ძალები ს.-დემ. პარტიისა საქართველოში, ამ სიტყვას გამოეხმაურა ემიგრაციის საგრძნობი ნაწილიც.

ამხ-გებო, უკანასკნელად კიდევ ემჩნევა რამიშვილის აგენტებს ამოძრავება. მაშ ფრთხილად, ქართველი მშრომელი ხალხის სადარაჯოზე! შემჭიდროებული რიგებით შევხვდეთ ყოველგვარ მოსალოდნელობას, რათა ავაცდინოთ უბედურება ქართველ ხალხს და ხელი შეუწყოთ ჩვენში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობას"!

# რკინისგზელები და გამფლანგველები

გამფლანგველები, სამწუხაროდ ყველა დარგშია, არიან ასეთები რკინის გზაზეც, მაგრამ ამ წერილის სათაური ამის გამო არაა გამოწვეული. ეს წერილი გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ;

ამ დღეებში მოხდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ ამხანაგების თათბირი. ეს თათბირი—კი გამოიწვია გასულ წელში გახშირებულმა უბედურმა შემთხვევებმა ჩვენს რკინის გზებზე.

ამ თათბირზე ამხ. კაჭარავამ, სხვათა შორის განაცხადა: „ამჟამად რკინის გზებზე მრავალი ბოროტმოქმედება ხდება, განსაკუთრებით გახშირდა მატარებლების მსხვრევა, რამაც აურაცხელი ზარალი მიაყენა რკინის გზას. სასტიკი ზომების მიღებით გაფლანგვა საგრძნობლად შემცირდა რკინის გზებზე; ჩვენის აზრით, ასეთივე მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო ორთქლმავლების მსხვრევის და ამ ბოლო დროს რკინის ზაზე გავრცელებულ ქურდობის წინააღმდეგ". („მუშა" № 1252).

ნათქვამიდან გამოდის, რომ ქურდები, გამფლანგველები და რკინის გზის კატასტროფა - უბედურებაში დამნაშავე რკინის გზელები ერთნაირათ, მკაცრათ, უნდა დაისაჯონო.

ასეთი შეხედულებაა ჩვენი უმაღლესი სასამართლოს პასუხისმგებელ ამხანაგებისა, ცოტა არ იყოს, გაუგებრობაზე უნდა იყოს აშენებული. გამფლანგველები და ქურდები რომ უნდა სასტიკად დაისაჯონ, ეს უდავო და აშკარაა.

რომ რკ.-გზ. უბედურებისათვის დამნაშავე მოხელენიც უნდა დაისაჯოს, ესეც აშკარა და ცხადია. მაგრამ როგორ შეიძლება შევადაროთ და დამნაშავის ერთ სკამზე დავსვათ მაგალითად მემანქანე კრავცოვი და მემანქანე ტიტვინიძე, რომელთა დაუდევრობით მოხდა რკინის გზაზე ორი დიდი უბედური შემთხვევა ადამიანის მსხვერპლით, და მეორეს მხრით ქურდები და გამფლანგველები? არც ექცევა ჩვენი სასამართლო უნებურად დამნაშავე მემანქანეებს ისეთი საზომით, როგორიც ის ექცევა მაგალითად გამფლანგველებს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე რკინის გზელს დაფიქრებით და განგებ მოეხდინოს კატასტროფა, ისე, როგორც ამას სჩადიან გამფლანგველები.

ავიღოთ რამოდენიმე შემთხვევა:

მემანქანე კრავცოვს ძეგვის ხიდიდან აღმართში გაუჩერდა მატარებელი. ორთქლმავალმა ვერ აიტანა 75 ათასი ფუთი. რა იყო გაჩერების მიზეზი? გაჩერების მიზეზი იყო მატარებლის დიდი სიმძიმე. ამაში დამნაშავეა რკინის გზის ადმინისტრაცია. ორთქლმავალს უნდა მიჰქონდეს ისეთი სიმძიმე, რასაც ის მოერევა ყველგან, საცა არ უნდა გაუჩერდეს მატარებელი.

ადმინისტრაციამ ყოველი შემთხვევისათვის გაუკეთა ასეთი დამატება მძიმე მატარებლების წაყვანის წესრიგს: თუ აღმართში გაგიჩერდეს მძიმე მატარებელი — ორხელ მიიტანე ის ახლობელ სადგურზეო. აი აქ შესცდა მემანქანე კრავცოვი. რაკი მატარებელი გაუჩერდა მას, უნდა ორხელ აეტანა ის. მან კი უკან დაახევინა მატარებელს. მაგრამ აქვს მას აქაც გასამართლებელი ბრძანება ადმინისტრაციისა: აი ეს ბრძანებაც:

თუ მატარებელი გაჩერდა აღმართში და ამ აღმართს მატარებლის უკან აქვს სწორი ლიანდაგი, იმ მოსაზრებით, რომ მატარებელი უკან არ გაიქცევა, მემანქანეს აქვს უფლება დასწიოს მატარებელი უკან და ახლად გაქანებით სცადოს მისი ისევ ატანა აღმართზეო. ძეგვის აღმართზე გაჩერებულ მატარებელს სწორედ ქონდა უკან სწორი ლიანდაგი—ხიდი და შემდეგ ისევ აღმართი და ასე უკან მატარებლის გაქცევის შიში არ არსებობდა.

ამ გარემოებამ, ერთის მხრით, და მეორეთი სურვილმა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მივიტანო მატარებელი სადგურამდე და ნაკლებათ დავიჭირო იქ გაჩერებული სხვა მატარებელიო, მემანქანემ დასწია უკან მატარებელი. აქ

ის გაწყდა. ერთი ნაწილი დაეჯახა მეორეს და მოხდა უბედურება.

მეორე შემთხვევა ავიღოთ სადგურ სკრაში მომხდარი უბედურება. სადგურის მორიგე. ძველი გამოცდილი რკინის გზის მოხელე მოულოდნელად შესცდა. მან უალაგოთ გადააბრუნა ისრების გამწესრიგებელი აპარატის ერთი ონკანი იმ იმედით, რომ ამას ის დროზე სჩადიოდა, მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში. ამ დროს ისარზე მიდიოდა მატარებელი და რამოდენიმე რონოდა გადასცდა ლიანდაგს.

მესამე შემთხვევა ავიღოთ კატასტროფა სადგურ ფოილოში, საცა სასამართლომ ბრალი დასდო მემანქანე ტიტვინიძეს და მიუსაჯა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამივე შემთხვევაში დამნაშავე რკინის გზის მოხელენი დაისაჯენ, მაგრამ არა ისეთი მკაცრი სასჯელით, როგორითაც ჩვენ ვსჯით გამფლანგველებს. მართალია, ამხ. კაჭარავა, როცა ამობს, რომ სასტიკი ზომების შემდეგ გაფლანგვამ იკლოო. ასეთი სასტიკი ზომები ვერ მოსპობენ რკინის გზაზე უბედურ შემთხვევებს.

რკინის გზაზე უბედურ შემთხვევებს აქვს თავისი მიზეზები. უნდა მოისპოს ეს მიზეზები. უნდა გამოინახოს მთავარი მიზეზი.

ზევით ჩვენ დავასახელით, რომ ძეგვის ხიდზე უბედური შემთხვევის მთავარი მიზეზი იყო მატარებლის სიგრძე და სიმძიმე. მოსპეთ ეს ნაკლი და ასეთი შემთხვევა აღარ განემეორდება. ამისი მაგალითი უკვე გვაქვს. ეს ორი კვირაა, რაც რკინის გზის ადმინისტრაციამ მოუკლო მატარებლების სიგრძეს და სიმძიმეს. მოუკლო 10 ათასი ფუთი. ამ გარემოებამ უკვე გამოიღო ნაყოფი. უკვე ნაკლებათ ხდება მატარებლების გაწყვეტა და აქედან წამომდგარი უბედური შემთხვევები.

ხოლო საჭიროა რკინის გზის ადმინისტრაციამ ამ სიმძიმის და სიგრძის დაკლება მოახდინოს ყველგან, საცა საშიშია გრძელი მატარებლების ტარება.

საჭიროა მიექცეს დიდი ყურადღება რონოდების გადასაბმელ მანქანებს. ესენი არიან ძველი სისტემის, როცა ვატარებდით 30 ათას ფუთს და დღეს 75 ათას ფუთს ვეღარ უძლებენ. წყდებიან და ამას შედეგათ მოსდევს დიდი უბედურება. ასეთი ნაკლი მრავალია. ყველა ესენი უნდა გამოსწორდეს. ამით მოისპობა უმთავრესი მიზეზები და რა თქმა უნდა იკლებს გაწყვეტა და უბედური შემთხვევათა რიცხვიც.

რკ.-გზ. სავსებით მოსპობა უბედურ შემთხვევების შეუძლებელია. ისიც დღეს. არას დროს არ ყოფილა ასეთი მოძრაობა, როგორც არის დღეს. არას დროს არ გვყოლია ასეთი მძლავრი ორთქლმავლები და არას დროს არ გვიტარებია ასე მძიმე და გრძელი მატარებლები.

ამ გარემოებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

ჩვენი აზრით ყოვლად დაუშვებელია უნებური, წუთიერი შეცდომისათვის, თუნდაც ამას მოყვეს დიდი უბედურება — ამ შეცდომის ჩამდენი შევადაროთ გამფლანგველებს და დავემუქროთ მათ სასტიკი სასჯელით, დახვრეტით.

ასეთი დამუქრება უფრო შეაშინებს, დააფრთხობს რკინის გზელებს და არა გვგონია ეს იყოს მიზან შეწონილი.

ხოლო ერთი უნდა მოვაგონო ამხანაგ რკინის გზელებს: ჩვენში რომ დისციპლინა დაეცა, ეს მართალია. თუ ჩვენ ყველანი ათვის ალაგზე ვიქნებით ფხიზლათ, მატარებელი გაწყდება, მაგრამ უბედური შემთხვევის თავიდან აცილება ჩვენზეა დამოკიდებული.

ახალ წლის ღამეს რომ 60-80 რკინის გზელი არ გამოცხადდა სამსახურში — ეს არის დისციპლინის დარღვევა; ეს არის რკინის გზის მუშაობის შეფერხება და ასეთი სიმულიანტების დამცველათ ჩვენ ვერ გამოვალთ.

ამ დღეებში გაწყდა საგეზო მატარებელი ნავთლუხ თბილისის გადასარბენზე. დაექანა თუ არა უკანა ნაწილი ნავთლუღისაკენ, საცა ის უსათუოდ დიდ უბედურებას მოახდენდა, მემუხრუჭეებმა დროზე მოვჭირეს მუხრუჭები და რონოდები იქვე შეაჩერეს. თავიდან აგვაშორეს მოსალოდნელი კატასტროფა.

ასეთი მაგალითები ბერია. ერთს მოსდის შეცდომა. მეორე მას ასწორებს.

შეუცდომელი არავინაა, უნდა ვეცადოთ არ მოხდეს შეცდომები. კიდევაც უნდა დავსაჯოთ შეცდომის ჩამდენნი, მაგრამ გამფლანგველების გვერდში მაინც ვერ დავაყენებთ უნებურად შემცდარ რკინის გზელებს.

**თბილისელი მემანქანე.**

# რისთვის გავხდი ახალგზელი

მე როგორც ყოფილი მენშევიკი მუშა ისთე მუშურად მინდა ვსთქვა თუ რისთვის გავხდი ახალგზელი.

როცა საქართველოს გასაბჭოება მოხვდა მეც. რა თქმა უნდა, ძალიანი ცუდი თვალით ვუყურებდი ბოლშევიკებს რადგანაც კომუნისტებზე ისეთი წარმოდგენა გვქონდა, რომ ვითომც კომ. პარ. ყოფილიყოს მუშათა პარ. მტერი... ამისათვის ყოველივე ზომებს ვხმარობდით რომ დაგვემარცხებია კომუნისტები და აღგვედგინა ისევ ჩვენი მენშევიკური ძალა-უფლება და ვფიქრობდით, რომ ამ ჩვენი გზით მიგვეხწია სოციალიზმამდის.

მაგრამ თურმე ვსტუვდებოდით და ჩვენა საქმეს თვითონ ჩვენ ვაფუჭებდით. ამაში მე დამარწმუნა აგვისტოს ავანტიურამ.

რა მოგვიტანა ამ ავანტიურამ?,—აუნაზღაურებელი ზარალი, როგორც ეკონომიურად, ისე ფიზიკურად მეტი არაფერი. ავანტიურამ სამუდამო გარდატეხა მოახდინა ჩემში, თვალები ამიხილა... მე შევადარე წარსული და აწმყო გუშინდელ და დღევანდელ დღეს, ავწონ-დავწონე და დავრწმუნდი, რომ გუშინდელს დღევანდელი გაცილებით სჯობს; დღეს ჩემთვის აშკარაა, რომ ბოლშევიკები მუშებისა და გლეხების საქმეს აკეთებენ, რომ ისინი ახალ ქვეყანას აშენებენ.

ჩვენი მუშებისა და გლეხების ვალია, რომ კომუნისტებს ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნის აღმშენებლობაში, ყოველის ღონით დავეხმაროთ მათ, არ ავყვეთ აგვისტოს ავანტიურის გმირების ფეხის ხმას და ძირშივე ჩავკლათ მათი ყოველი ცდა ასეთივე ავანტიურას განმეორებისა. უნდა ფრთხილათ ვიყოთ, რომ არ დავკარგოთ რევოლიუციის მონაპოვარი; ერთ სულოვნათ დავიცოთ ტერიტორია და ჩვენი თავისუფლება. ვინც დღეს დაიწყებს მზერას და თავის ქვეყანას არ ეპატრონება, იცოდეს, რომ ის თავის თავს მოღალატე და თვისი სამშობლოს მტერია.

**მუშა ონოფრე ლომთათიძე.**

# ლენინის უგნის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კრება

14 იანვარას, საღამოს 6 საათზე ყოფ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს მიერ პლეხანოვის კლუბში მოწვეული იქნა ლენინის უბნის ყოფილ მარქსისტთა პირველი კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. **გრიშა კეკელია.** მომხსენებელი ფართოდ შეეხო მენშევიკურ პარტიის გახრწნას 1917 წლიდან და ასევე ფართოდ შეჩერდა მენშევიკების 4 წლის ბატონობაზე საქართველოში. მან სწორად დაახასიათა მენშევიკური „მიღწევების“ უმთავრესი მომენტები ჩვენს კულტურულსა და ეკონომიურ აღმშენებლობაში. პარალელურად ამისა მომხსენებელი სამართლიანად შეჩერდა საბჭოთა აღმშენებლობისა და მიღწევების უმთავრეს მომენტებზე და

ცხადჰყო პროლეტარული დიქტატურის მიზანშეწონილობა და კომუნისტური ხაზის სისწორე. საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა მოუწოდა კრებას კანონიერი თვითკრიტიკის და საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობისაკენ. მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ ამხანაგები: **კაპ. კობახიძე, ვარლ. ჩომახია, ი. ნიკოლაიშვილი** და სხვები, რომლებმაც უმთავრესად ეროვნულ კითხვას შეეხენ და მისი კომუნისტური გადაჭრა სწორად მიიჩნიეს. დასასრულ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციაც, სადაც კრებამ ცენტრალურ ბიუროს დაწყებული საქმის ბრწყინვალე დაგვირგვინება და მორიგი გამარჯვება უსურვა.

რაიონულ საინიციატივო ბიუროს შედგენისა და მუშაობის შესახებ საინფორმაციო სიტყვა სთქვა ამხ. **ანტ. შავგულიძემ**, რის შემდეგაც ბიუროში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: **პლატონ ფრანგიშვილი, ბეჟანი დოლიძე, დავით ლვაბერიძე, ვასილ ქოჩლაძე, ვახტანგ ადეიშვილი,** და **ვერა თავართქილაძე** (კანდიდატი). ბიუროს არჩევის შემდეგ კრება დაიხურა.

**შ. გ.**

## რეზოლიუცია
## მიღებული ლენინის უბნის ყოფილ ახ. მარქსისტთა კრებაზე ა.-წ. 14 იანვარს

ლენინის უბნის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ყოფილმა წევრებმა მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გ. კეკელიასი, ვაღიარებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოებული ბძროლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არსებითად ეწინააღმდეგება მშრომელი ხალხის საბოლოო მიზნის—სოციალიზმის საქმეს.

იმ დროს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით იქმნება კაპიტალის მთლიანი ფრონტი უკანასკნელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გასაჩაღებლად—შრომასა და კაპიტალს შორის, ყოველგვარი ყოყმანი და მუშათა მთლიანი ფრონტის გარეშე დგომა,—მოწინააღმდეგეს ხელის შეწყობას ნიშნავს. ასეთი მთლიანი მუშათა ფრონტი კი დღეს იქმნება მსოფლიო რევოლიუციის შტაბის მე-3 ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით. ამის გარეშე სხვა გზა არ არსებობს.

მე-2 ინტერნაციონალი, რომელიც დღეს რევოლიუციონურ მოძრაობის მუხრუჭს წარმოადგენს, ცხადია მომავალი საფრთხის წინაშე ისევე გაქრება და დაინგრევა, როგორც გაქრა და დაინგრა 1914 წ. იმპერიალისტური ომის დაწყებისას.

საქართველოს მენშევიკური პარტია იმ თავითვე ასცდა სწორ გზას და მოექცა ბურჟუაზიის დამცველთა ბანაკში. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია მუდამ ხელიხელს ჩაკიდებული იბრძოდა მენშევიკურ პარტიასთან ერთად და ცხადია პარტიის ბედი მასაც ეწვია.

ისტორიის მსვლელობაში გზა-აბნეული პარტია არ შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო მუშათა კლასის ხელმძღვანელად. დღეს ის, როგორც მშრომელი ხალხის იდეოლოგიური და მასიური პარტია, საქართველოს სინამდვილეში აღარ არსებობს.

ამიტომ ჩვენ ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებს სრულიად დაუშვებლად მიგვაჩნია ისტორიისაგან განწირულ პარტიასთან ერთად სიარული და მსოფლიო მუშათა კლასის გამცემელის როლში გამოსვლა.

ჩვენ მოუწოდებთ, ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის იმ წევრებს, რომლებიც ჯერ ვერ გარკვეულან შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაში, დაგმონ ძველი გზა და დადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან გულწრფელ თანამშრომლობის გზაზე.

ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს კი ვუსურვებთ მეტ ენერგიას და სიმტკიცეს დაწყებულ საქმის დამთავრებაში და პირობას ვაძლევთ, რომ ლენინის უბნის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ამ საქმიანობაში მოწინავე რიგებში ვიქნებით.

**გაუმარჯოს ახალგაზრდობის მთლიან ფრონტს!**

**გაუმარჯოს კომინტერნს!**

# წერილები პროვინციიდან

### ჭიათურის შავიქვის მრეწველობა უწინ და ახლა.

**(საკუთარი კორესპონდენტისაგან).**

1913—1914 წლების შემდეგ მხოლოდ 1922 წ. იწყო შავიქვის მრეწველობამ გამოცოცხლება. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ქვის გატანის საქმე თავის სიმაღლეზე დაეყენებია და მას შესაფერი ბაზარიც მოუპოვა ევროპაში. კიდევ მეტი, მთავრობამ საგანგებო საქართველოს სახით მოაწყო ტეხნიკურად საკუთარი წარმოება, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც მუშებში, ისე მთელ მოსახლეობაში.

1922 წლიდან 1925 წლის ბოლო რიცხვებამდე ჭიათურაში სიცოცხლე სდუღდა და გადადიოდა... 1925 წლის გასულს შავიქვის კონცესიის გაცემაზე დაიწყეს მოლაპარაკება. ხალხი ამ აქტს უფრო სიხარულით შეხვდა და იმედიანად უყურებდა მის საბოლოო დასრულებას. ფიქრობდა,—ალბათ არსებულზე უფრო გამოკეთდება წარმოების საქმეო.

ჭიათურაში ამერიკელ კაპიტალისტის მოსვლამ ყველას იმედი გაუღვიძა, მაგრამ ამ ახალი კონცესიონერების ჭიათურაში ერთნახევარი წლის მუშაობამ ჩვენს იმედებს საგრძნობლად შეაკვეცა ფრთები. ამის შესახებ ბევრი დაწერილა და იწერება ჩვენს პრესაში. სხვათა შორის, ვრცელი წერილი იყო ამის შესხებ „კომუნისტი“-ს მე 21-ე ნომერში. ნათქვამს არ გავიმეორებ, მხოლოდ მსურს იმაზე მივუთითო, რაც გაზეთს გამორჩა შეუნიშნავი.

ამერიკელებს მოსვლისთანავე დაეტყო უხეში მოქცევა მუშა-მოსამსახურეებისადმი. განსაკუთრებით ალმაცერად უყურებენ ქართველებს. მოსამსახურეების მიღების დროს გვერდი აუარეს რამოდენიმე ათეული წლების შავქვაზე მომუშავე პირებს და საქმეში სრულიად ახალი პირები ჩააბეს. მათ მუშა-მოსამსახურეებთან ვერ გამონახეს საერთო ენა და მით წრმოების ხელის შეწყობა, მისი განვითარება. უცხოეთის ბურჟუაზია ვერ შეეგუა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების შრომის კანონებს და უბრალო კაპეიკის საქმეზე ხშირად მუშებს სასამართლოში უხდებათ სიარული. იყო შემთხვევა, როცა მათმა ერთმა მაღალმა მოხელემ მოქალაქეს სახლში შეუვარდა და ბინის წართმევა დაუპირა. ჭიათურის უბნის სასამართლომ ამ ვაჟბატონს ღირსეული სასჯელი მიუსაჯა და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთ თავხედობას აქ ადგილი არ ექნება. ჭიათურაში უწინაც იყვენ ევროპის დიდი ფირმები, როგორც, მაგალითად, გელზენკინხერის საზოგადოება, ფორუდი, სელარი, პანასიე და სხ... ყველა ისინი მალე შეეჩვიენ და დაუმეგობრდენ ქართველ ხალხს და, კერძოდ, ჭიათურის რაიონის მოსახლეობას.

საჭიროა ჰარიმანის მოხელეებმაც მიბაძონ დასახელებულ ფირმებს და მეტის პატივისცემის მოეპყრან იმ ხალხს, რომელთანაც ისინი სტუმრად მოვიდენ. მათ უნდა შეიგნონ, რომ საქმე აქვთ არა აფრიკაში, ან ინდოეთში, არამედ საბჭოთა საქართველოში.

**სერაპიონ სიხარულიძე.**

---

**გურია** (საკუთ. კორესპონდენტისაგან). **როგორ მიმდინარეობს არჩევნები გურიაში.** წელს გურიის მშრომელი ხალხი დიდის ენერგიით და აღტაცებით ჩაება საბჭოთა არჩევნებში. უკვე ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი კრებები. უმეტესად დაინტერესებულია არჩევნებით ულარიბესი გლეხობა და მეოჯახე ქალ[illegible]ი. საანგარიშო კრებებზე იძლევიან შეკითხვებს სოფლის ჭირ-ვარამის შესახებ. მაგალითად, ჩოხატაურის თემის საანგარიშო კრებაზე მომხსენებელს შემდეგი შეკითხვები მისცეს: 1) რატომ არ ზრუნავთ შარაგზების შესახებ; 2) რატომ ვერ მივიღეთ კრედიტი საავადმყოფოს შენობის დასასრულებლად; 3) შეუძლია თუ არა ღარიბმა გლეხებმა იყიდოს და გაჰყიდოს მიწა; 4) რატომ მუდმივად არ მუშაობს ხერხის ქარხანა და სხვ.

ამ შეკითხვებიდან ნათლად სჩანს, თუ რითია დღეს დაინტერესებული გურიის მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა, გურიაში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გურულებს აწუხებს უგზოობა და სიღარიბე. გურულები გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლას ლამობენ სასოფლო მეურნეობის აყვავებით, რასაც დიდი ნიადაგი აქვს გურიაში. ამიტომ გლეხობა სხდომებზე ხშირად სვამენ საკითხს აგროდახმარებისა და ტეხნიკუმებთან სამეურნეო მუშაობის გაძლიერების შესახებ.

საერთოდ, ღარიბი გლეხები მეტ აქტივობას იჩენენ.

**გურული გლეხი.**

---

**სარედაქციო კოლეგია.**

ტფილისის აღმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა, № 68. ტირაჟი 7000.